ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარიელო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 249 (18491) შაბათი, 30 ოქტომბერი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

ლენინის ორდენი თბილისის დროშაზე

საბჭოთა საქართველოს დედაქალაქისათვის სამშობლოს მაღალი ჯილდოს გადაცემისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

საქართველოს დედაქალაქის დროშაზე ლენინის ორდენი ჯაჭოდა. ეს ისტორიული მოვლენა მოხდა 1982 წლის 29 ოქტომბერს 12 საათსა და 50 წუთზე. მილიონიანი ქალაქისათვის სასიხარულო წამებში ჩაქსოვილია მისი მოქალაქეების ყველი თაობის რეგოლუციური, საბრძოლო და შრომითი გმირობის ათწლეულები. პატრიოტ ქალაქს, ინტერნაციონალისტ ქალაქს, მშრომელ ქალაქს სამოდამოდ დაამახსოვრდება ეს დღე, თავისი ვარსკვლავიერი ჟამი. ჩვენი დღესასწაულები ოშვა შუშისა და კოლშეურნის, ინკინისა და მეცნიერის, პოეტისა და მხატვრის სადაგი, შრომითი დღეების საუკეთესოზე... და თბილისის წლევანდელი დღესასწაული მოამზადა მისი ისტორიების ოქროს მარჯვენამ, მათ ძალუძთ შექმნან ფრთოსანი მანქანები და ფრთოსანი სტრიქონები, ინტეგრალი და ჰარმონიის საიდუმლოებანი, ზუსტი ხელსაწყოები და ჰეფური ფრესკები.

თბილისელთა დღევანდელი მიღწევები — ეს არის მათი კონკრეტული საქმიანი პასუხი პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ დადგენილებაზე, რომლის ათი წლისთავი აბლახან დიაზნეს მთელი საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა. მასწავლებელი პერსპექტივები დაუსახა მათ სკკპ XXVI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებმა. ქალაქის მშრომელთა ძალ-ონისა და რწმენის წყარო სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის გადაწყვეტილებანი. მრავალეროვანი თბილისი, რომელიც ვრძნობს, რომ დიდი საბჭოთა ოჯახის სრულუფლებიანი წევრია, თავდადებით შრომობს, შემართებით ქმნის და ღირსეულ შეხვედრას უმზადებს სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს.

ორდენსანი ქალაქის საუკეთესო წარმომადგენლებმა სიამაყით განაცხადეს ეს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომის ტრიბუნიდან. იგი გაიმართა 29 ოქტომბერს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში. აქ შეიკრიბნენ პარტიელი, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივებისა და თბილისის ჯარნიზონის ჯარის ნაწილების წარმომადგენლები. დარბაზში არიან პარტიისა და შრომის ვეტერანები, ქალაქის წარჩინებული დამბიანები, თბილისთან შეჯიბრებაში ჩაბმული დამოყვრებული ქალაქებიდან — ბაქოდან, ერევნიდან, სვერდლოვსკიდან ჩამოსული სტუმრები.

სხდომის მონაწილეები მჭუხარე ტაშით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს კ. უ. ჩერნენკოს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ლ. ნ. ნიკოლაევი, სვერდლოვსკისა — სკკპ საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ბ. ბანიუნინი.

საზეიმო სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. ნ. მენთეშაშვილმა.

სრულდება საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო პიმნები.

შეკრებილნი უდიდესი აღფრთოვანებით ირჩევენ სპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა კ. უ. ჩერნენკომ, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

(ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა ქვეყნდება ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში).

საზეიმო სხდომის მონაწილეთა ტაშის გრიალში კ. უ. ჩერნენკომ სამშობლოს მაღალი ჯილდო — ლენინის ორდენი მიიბნია თბილისის დროშას.

თბილისის მშრომელთა სახელით კრებაზე გამოვიდა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ნ. მენთეშაშვილი.

(ამხანაგ თ. ნ. მენთეშაშვილის სიტყვა ქვეყნდება ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში).

ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს გადაეცა თბილისის სპატიო მოქალაქის სამახსოვრო ნიშანი.

სიტყვას ამბობს თბილისის სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების ბრიგადირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. ო. რაზმაძე.

— ჩემი თბილისო, რა სიღიადეს, რამდენ ტკივილს, სიხარულსა და გამარჯვებას ინახავს შენი გული. რამდენჯერ ტკეცულხარ, ჩემო ქალაქო, ნანგრევებად, მაგრამ ყველაფრისათვის გაგიძლია. შენს შვილებს ბევრჯერ აღუდგენიხარ ნანგრევებიდან. შემდეგ კი შენს თავზე აღმართეს რევოლუციის ალისფერი დროშა და ამ დიადი დროშის ქვეშ მთელი თაობები გაშენებდნენ, გიშუმბდნენ ჭრილობებს. მათ იგი გმოატარეს წლების მანძილზე და დღეს საქართველოს დედაქალაქის დროშაზე აკიაფდა სამშობლოს უმაღლესი ორდენი, რომელიც ეს-ეს არის გადმოგვეცი ჩვენმა ძვირფასმა და სანატერო სტუმარმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, დიდად პატივცემულმა კონსტანტინ უსტინოვიჩ ჩერნენკომ. ეს ჩვენი შრომის უმაღლესი შეფასებაა. ამ დღეებში თითეულ ჩვენგანი აღსავსეა უსაზღვრო მადლიერებით სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, ქართველი ხალხის დიდი მეგობრის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევისადმი. დღეს ჩვენ ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, თუ რა დიდად ფასდება ხალხის საკეთილდღეო, სამშობლოს საკეთილდღეო უანგარო შრომა, ჩვენი დიადი მიზნებისადმი თავდადებული სამსახური და ერთგულება. ლენინის ორდენი თითოეული თბილისელის დამსახურებაა, მაგრამ, ალბათ, არ გადავცდებიმ, თუ ვიტყვი, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ წარმატებებში საქართველოს დედაქალაქის მუშათა კლასის წვლილი, რომელმაც ჩაქსოვა მას გმირული შრომა, მხურვალე პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი.

(დასასრული 30-ე გვ.).

სურათზე: ქალაქ თბილისისათვის ლენინის ორდენის გადაცემა. ო. თურძიასა და ბ. კიკვიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საბჭოთა კავშირ-კვიპროსის მოლაპარაკება

სურათზე: მოლაპარაკების დროს. (საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო).

28 ოქტომბერს კრემლში გაიმართა საბჭოთა კავშირ-კვიპროსის მოლაპარაკება.

მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, დიდად პატივცემულმა კონსტანტინ უსტინოვიჩ ჩერნენკომ. ეს ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ინტერნაციონალურ დღესასწაულია — სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავზე.

დღეს, როცა ხელი გვიჭირავს ლენინის ორდენით შემკული წითელი დროშა, ჩვენ ორდენოსანი თბილისის კომუნისტებისა და ყველა მშრომელის სახელით საქეიფოდ ვაცხადებთ, რომ ამ ალისფერი ალმით, რომელსაც დიდი ბელადის სახე ამშვენებს, კიდევ უფრო მტკიცედ დავლაშქრავთ კომუნისტური აღმშენებლობის მწვერვალებს.

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელს და ორგანიზატორს!

29 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში სადილი გაუმართეს კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტს ს. კიპრიანუს.

კიპრიანუსთან ერთად სადილზე იყვნენ მისი თანმხლები ოფიციალური პირნი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილად იყვნენ ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ა. გრომიკო, ნ. ა. ტიხონოვი, ჰ. ნ. დემიჩევი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პარლამენტის თავმჯდომარეები, სხვა ოფიციალური პირნი.

სადილზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა.

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო!

პატივცემულო კვიპროსელო სტუმრებო!

ამხანაგებო!

გულითა და სულით მოგვესალმებით თქვენ, ბატონო სპიროს კიპრიანუ, და თქვენს კოლეგებს აქ, მოსკოვში.

ორსებითად სწორედ იმ დღეს, როცა კვიპროსი დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა, ოშვა საბჭოთა კავშირ-კვიპროსის თანამშრომლობაც. მას შემდეგ იგი თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთხელსაყრელობის პრინციპებზე ვითარდება და მტკიცდება. სრული უფლება გვაქვს ვთქვათ: თუმცა ჩვენი ქვეყნები უშუალოდ არ ესაზღვრებიან ერთმანეთს, მათ ნამდვილად კეთილმეზობლური ურთიერთობა აკავშირებთ.

საბჭოთა ადამიანები გაგებითა და ღრმა თანაგრძნობით ეკიდებიან იმ განსაცდელს, რომელიც წლად-ხედა კვიპროსელებს უკანასკნელი ორი ათწლეულის მანძილზე. იქნება, მსოფლიოში მიმდინარე ბობოქარი მოვლენების გამო ზოგიერთი დედაქალაქი სათანადო ყურადღებას ვერ იჩენდა კვიპროსის საშინი პრობლემებისადმი, მაგრამ ეს ჩვენ არ გვეხება. ჩვენ საბჭოთა კავშირში ირაციონალურ არ გვავიწყდებოდა, რომ კვიპროსის პრობლემები მოუშუშებელი ჭრილობაა, რომელიც დღეხადაგ აწუხებს და სიცოცხლეს უწამლავს ხალხს.

მაგრამ პოლიტიკაში არ შეიძლება იყოს ამოლუტურად გამოუვალი მდგომარეობა. ან, ყოველ შემთხვევაში, ეს უდიდესი ამბიციობაა. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ კვიპროსის პრობლემის მყარი სამართლიანი მოწესრიგება შესაძლებელია.

რა თქმა უნდა, აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული ორი ეროვნული თემის ურთიერთგაგებაზე, რომელებთანაც კვიპროსი ბრძოლიური სახლია. თითოეულ მათგანს თავისი განსაკუთრებული ინტერესები აქვს, რომლებიც არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ. მაგრამ ისინი ვერ დაჩრდილავს საერთო-სახელმწიფო ინტერესს — ეს არის კვიპროსის რესპუბლიკის მთლიანობის, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის შენარჩუნება.

საბჭოთა კავშირში გულწრფელი თანაგრძნობითა და დაინტერესებით აღიგენენ თვალყურს იმ ღონისძიებებს, რომლებსაც კვიპროსის მთავრობა, ქვეყნის პროგრესული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალები ახორციელებენ რესპუბლიკაში არსებული სიტუაციის გასაჯანსაღებლად.

კვიპროსელ ხალხს, ისევე როგორც სხვა ხალხებს, უფლება აქვს იცხოვროს გარეგან ყოველგვარი ჩარევის გარეშე, საზღვარგარეთის ჯარებისა და საზღვარგარეთის სამხედრო ბაზების გარეშე, იცხოვროს მშვიდობიანად და გულდამშვიდებით.

თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, ისევე, როგორც კვიპროსის მოსახლეობამ, იცით, რომ საბჭოთა კავშირი მტკიცედ და თანამიმდევრულად უმჭერს და უჭერს მხარს კვიპროსის რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, ტერიტორიულ მთლიანობას, პატივისცემით ეკიდება მის მიუმხრობლობის პოლიტიკას.

ახლა, როცა მსოფლიოში ესოდენ შემაშფოთებელი ვითარებაა, ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმას, რომ ისეთ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო საკითხებში, როგორიც არის მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება, განიარაღება და დაძაბულობის შენელების შენარჩუნება, საბჭოთა კავშირი და კვიპროსი ერთნაირ ან ერთმანეთთან დაახლოებულ პოზიციებს იდგანან.

ამასთან დაკავშირებით მინდა შევეხო ხმელთაშუაზღვისპირეთში არსებულ სიტუაციას. ამ რეგიონს ქვეყნები და ხალხები სულ უფრო მწვავედ გრძნობენ იმპერიალისტური ძალების საშიში მოქმედების შედეგებს. დიდძალი სამხედრო ბაზები, სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევა, წინააღმდეგობებისა და კონფლიქტების გაღვივება აქ დაძაბულობის სერიოზულ კერებს ქმნის.

ვითარება კიდევ უფრო საშიში გახდება, თუ განხორციელდება ნატოს ავანტიურისტული გეგმები — განლაგოს იტალიის, ისევე როგორც დასავლეთ ევროპის ზოგიერთი სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე, საშუალო სიშორის ახალი ამერიკული ბირთვული საშუალებანი. ამ ამერიკულმა რაკეტებმა ხომ შეიძლება მიიღოს არა მარტო აღმოსავლეთის, არამედ სამხრეთის ორიენტაციაც, გახდეს აფრიკის ხმელთაშუაზღვისპირეთის სახელმწიფოების, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ ბირთვული შანტაჟის ბერკეტად იარაღი. და თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე ამერიკულ სტრატეგიულ დოკტრინებს, მიჯნა ბირთვულ შანტაჟსა და ბირთვულ ომს შორის სულ უფრო მერყეები ხდება.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო ის, რაც არაერთგზის თქმულა; ჩვენ უშუალოდ ვართ დაინტერესებული იმით, რომ განმტკიცდეს ხმელთაშუაზღვისპირეთის უშიშროება, მყარი მშვიდობისა და თანამშრომლობის ზონად გადაიქცეს ეს რაიონი. სწორედ ამიტომ წამოვაყენეთ იქ სამხედრო დაძაბულობის შესუსტების რეალისტური პროგრამა, რომელიც შეიცავს სამხედრო დარგში ნდობის ღონისძიებათა შეთანხმებას, შეიარაღებული ძალების შემცირებას, ხმელთაშუაზღვისპირეთის არაბირთვული ქვეყნების ტერიტორიაზე ბირთვული იარაღის გაბლაგების აკრძალვას, ხმელთაშუა ზღვიდან ბირთვული იარაღის მატარებელი ხომალდების გაყვანას.

საკითხავია, რატომ ვერ ვალწევთ პრაქტიკულ შეთანხმებას ამ საკითხებზე? განა, მაგალითად, იმის გამო, რომ ბირთვული იარაღის მატარებელი სამხედრო ხომალდები არ გადასერავენ ხმელთაშუა ზღვის წყლებს, ნაპირ მიადგება მის ნაპირებზე მდებარე რომელიმე ქვეყნის უშიშროებას? ან-და ნაპირ მიადგება ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ უშიშროებას, რომელიც აქედან მრავალი ათასი მილით არის დაშორებული? — რა თქმა უნდა, არა. ზოგ-ზოგს არ სურს დასთანხმდეს ამ ღონისძიებებს სწორედ იმიტომ, რომ აქ იგულისხმება საიმპერიო მიზნების განხორციელებას ეწმიდეს.

(დასასრული 30-ე გვ.).

მეგობრულ ვითარებაში

28 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში სადილი გაუმართეს კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტს ს. კიპრიანუს.

კიპრიანუსთან ერთად სადილზე იყვნენ მისი თანმხლები ოფიციალური პირნი.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილად იყვნენ ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ა. გრომიკო, ნ. ა. ტიხონოვი, ჰ. ნ. დემიჩევი, ვ. ვ. კუზნეცოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარეები, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, სხვა ოფიციალური პირნი.

სადილზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა.

(დასასრული 30-ე გვ.).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს

მადლიერმა თბილისელებმა დაგვიგალეს ჩვენ, ქალაქისათვის ლენინის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომის მონაწილეებს, თბილისელთა გულის სალრმიდან მომდინარე წრფელი მადლობა ვუძღვნით ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძეს, მადლობა ჯილდოსათვის, რომლითაც საქართველოს დედაქალაქის რევოლუციური, მხედრული, შრომითი გმირობა დააფასეთ.

ჩვენ ბედნიერნი ვართ, რომ ლენინის ორდენით ქალაქ თბილისის დაჯილდოების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ბრძანებულებას ხელს აწერთ თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძეს, — დიდი ლენინის საქმის ერთგული განმგრძობი, თანამედროვეობის გამორჩენილი საბელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელი, ქართველი ხალხის დიდი მეგობარი.

თბილისელებს არასოდეს დავიწყებიათ, რომ სწორედ თქვენი ინიციატივით მიიღო სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დადგენილება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ, საქართველოს კომუნისტებისათვის ისტორიული გადაწყვეტილება, რომელსაც მოჰყვა მთელი რიგი პარტიული და სახელმწიფო დოკუმენტები, ახე რომ შეუწყვეს ხელი რესპუბლიკის და მისი დედაქალაქის შემდგომ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

ამ საზეიმო ეამს სიხარულით მოგახსენებთ, რომ დღეს ჩვენი ქალაქის მრავალეროვანი ოჯახი დარაზმულია როგორც არასდროს, შეკავშირებული და ერთსულოვანია. როგორც არასდროს, ყოველივე იმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც შეუთავსებელია კომუნისტური ცხოვრების წესთან, მაზანმიმართულია, როგორც არასდროს, კომუნისტური მშენებლობის მიჯნების დასალაშქრავად. ამ გზაზე ქალაქის ჩშრომელები ნიადგ უსადგებენ თავიანთ კურსს ამ მითითებებსა და რეკომენდაციებს, თქვენ რომ გამოთქვით გასულ წელს თბილისში საქართველოსა ხალხთა ხელახუფლების დამყარების და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმზე. ამ გზაზე ფრთაშემსხმელ ძალად გვევლინება თქვენი მამობრივი ყურადღება. ჩვენი რესპუბლიკის, საქართველოს დედაქალაქის საქმეებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის ზრუნვის, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძეს, პირადად თქვენი მზრუნველობის ახალი ამაღლებული დასტური გახდა ჩვენთვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ". ყოველივე ეს ბევრს გვავალებს. და ჩვენ ცხადად ვხედავთ ჩვენი პასუხსაგები ამოცანების სიდიადეს. კრიტიკულად ვაფასებთ რა მიღწეულს, ნათლად ვხედავთ გადასაჭრელ პრობლემებსა და ნაკლოვანებებს და მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ამმოვფხვრათ ისინი, გავაუმჯობესოთ მთელი ჩვენი მუშაობა.

სამშობლოს ჯილდოთი, ჩვენი გარჯის მაღალი შეფასებით ფრთაშესხმულნი, გამოვხატავთ რა საქართველოს დედაქალაქის ყველა მშრომელის ნებასა და მისწრაფებას, ჩვენ აღვუთქვამთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, აღვთქვამთ თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძეს, რომ არ დავუშვრებთ ძალ-ღონეს და ენერგიას სკკპ XXVI ყრილობაზე წამოყენებული დიადი ამოცანების შესახორციელებლად, ახალი შრომითი გამარჯვებებითა და მიღწევებით შევეგებით ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ინტერნაციონალურ დღესასწაულს — სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს.

დღეს, როცა ხელი გვიჭირავს ლენინის ორდენით შემკული წითელი დროშა, ჩვენ ორდენოსანი თბილისის კომუნისტებისა და ყველა მშრომელის სახელით საქეიფოდ ვაცხადებთ, რომ ამ ალისფერი ალმით, რომელსაც დიდი ბელადის სახე ამშვენებს, კიდევ უფრო მტკიცედ დავლაშქრავთ კომუნისტური აღმშენებლობის მწვერვალებს.

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელს და ორგანიზატორს!

მიღებულია საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომაზე 1982 წლის 29 ოქტომბერს.

ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

მოკლედ მოგახსენებთ, როგორ მოხდა ჩემი ჩამოსვლა თბილისში. ამ რამდენიმე დღის წინათ ლეონიდ ილიას ძემ საუბარში მითხრა:

„ჩვენ ვალში ვართ საქართველოს დედაქალაქ თბილისის წინაშე. ქალაქი ლენინის ორდენით დაჯილდოვდა, ახლოვდება ოქტომბრის 65 წლისთავი, და კარგი იქნებოდა, ახლა გადაგვეცა მისთვის ეს ჯილდო.

მეგონა, მოვიცლიდი, მაგრამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის სამზადისის, სხვა გადაუდებელი საქმეების გამო ვერა და ვერ მოვიცალე, რომ თუნდაც ცოტა ხნით გავიდე მოსკოვიდან.

კარგი იქნებოდა, განაგრძო ლეონიდ ილიას ძემ, შენ გადაფრენილიყავი საქართველოში და გადაგეცა ორდენი ქალაქ თბილისისათვის. თვად იცი, რა საინტერესო რესპუბლიკაა საქართველო. პარტიული ორგანიზაცია ენერგიულად, შემოქმედებითად მუშაობს. კარგად უძღვება ყველაფერს ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძე. (ტაში). მომიკითხე იგი და, რა თქმა უნდა, სხვა ამხანაგებიც, გადაეცი ჩემგან კეთილი სალამი და უსურვე ყოველივე საუკეთესო. (ტაში). ისიც უთხარი, რომ კარგად მახსოვს შარშანდელი სტუმრობა თბილისში. ეს ქალაქი სხვაში არ შეგეშლება. იგი შენდება და მშვენდება. ამასთან ქალაქისათვის სათუთად შემოუნახავთ წარსულის სურნელი. ისე კი თბილისელებისაგან ბევრი რამ შეგვიძლია ვისწავლოთ. მათთვის მართლაც ალალია ჯილდო. (ხანგრძლივი ტაში).

გულითადად მიულოცე ჩემი სახელითაც. მტკიცედ მწამს, რომ თბილისიც, და მთელი საქართველოც მომავალ წლებში გაახარებენ სამშობლოს ახალი სახელოვანი მიღწევებით". (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში.).

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, მეც შევუერთდე ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის გულთბილ სიტყვებს და სულითა და გულით მოგილოცოთ ჯილდო. (ტაში).

ეს დავალება დიდ ნდობად მიმაჩნია. თანაც, მართალი გითხრათ, დიდი ხანია მინდოდა ჩამოვსულიყავი საქართველოში და თქვენ შეგხვედროდით. (ტაში).

თბილისს, ისევე როგორც თითოეულ ქალაქს, აქვს თავისი განუმეორებელი ისტორია, თავისი ბედი. იგი ოდითგანვე იზიდავდა პოეტებსა და მხატვრებს, მის შესახებ ქმნიდნენ შესანიშნავ ლექსებსა და სიმღერებს. მისი თვალწარმტაცი უბნები აღბეჭდილია ბევრ ტილოზე. და ყოველთვის თქვენს ქალაქს ახასიათებდა ხალისიანობა, გულითადობა, სტუმართმოყვარეობა. ამას კი ამ ქალაქში მცხოვრები ადამიანები ქმნიან. თაობიდან თაობას გადაეცემოდა თბილისელთა სიკეთისა და გულღიაობის ესტაფეტა (ტაში).

თქვენი ქალაქი ოდითგანვე იყო მშობლიური სახლი არა მარტო ქართველებისათვის, არამედ სომხების, რუსების, სხვადასხვა ეროვნების ადამიანებისათვის. ცნობარებიდან ვიცით, რომ ძველ თბილისში დაახლოებით 40 სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ. და ყოველთვის მშრომელი თბილისისათვის უცხო იყო რაიმე ეროვნული ყოყოჩობა. (ტაში).

თბილისის პროლეტარიატი აქტიურად მონაწილეობდა 1905-1917 წლების რევოლუციაში. მან გაიარა მძიმე ჯანსაცდელი, როცა საქართველოში ძალაუფლება 1917 წლის შემდეგ მენშევიკების ხელში აღმოჩნდა. მაგრამ ქართველი პროლეტარების სიმტკიცემ და მამაცობამ გაიმარჯვა. 1921 წლის 25 თებერვალს ქალაქში ოქტომბრის დროშა აფრიალდა. (ტაში).

და დღევანდელ საზეიმო დღეს ვიხსენებთ იმ წლების გმირ მებრძოლებს, რევოლუციონერთა ბრწყინვალე კოჰორტას, რომელთა თავდადებამ და გმირობამ დაიწყო სოციალისტური თბილისის, სოციალისტური საქართველოს ერა. პატივი და დიდება მათ! ლენინის ორდენი, რომელიც ქალაქს მიენიჭა, მათი რევოლუციური ღვაწლის დაფასებაცაა.

დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში 92 ათასზე მეტი შვილი გაგზავნა თბილისმა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ქალაქის მრეწველობა იარაღის ერთ-ერთ სამჭედლოდ გადაიქცა. ხანგრძლივი, ოთხი წლის ომის მანძილზე დღისით და ღამით გრძელდებოდა თბილისის მუშათა კლასის, ყველა მშრომელის უცვლელი ვახტი. ისინი ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რომ უზრუნველეყოთ ფრონტის საჭიროებანი. და ქალაქის ჯილდო თანაბრად ეკუთვნით იმათაც, ვინც სიცოცხლე დაუზოგავად ებრძოდა მტერს, და იმათაც, ვინც გმირულად შრომობდა ზურგში.

და რა კარგ, სასიკეთო ცვლილებებს აღნიშნავდა ქალაქის თითოეული ომისშემდგომი წელი! არ მინდა ვთქვა, რომ ყველაფერი საამო და უნაკლო იყო. ცხოვრების თანამგზავრია სიძნელეები — ობიექტური და სუბიექტური სიძნელეები. კაცმა რომ თქვას, თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ რთული პოლიტიკური მუშაობა, რომელიც უნდა განგეხორციელებინათ „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შემდეგ. ეს იყო ბრძოლა რესპუბლიკაში ჯანსაღი პოლიტიკური კლიმატისათვის, ბრძოლა, თუ გნებავთ, მისი კეთილი სახელისათვის, მისი ღირსებისათვის, და თბილისის, მთელი საქართველოს კომუნისტებმა ამხანაგ შევარდნაძის მეთაურობით კარგად გაართვეს თავი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ დასახულ ამოცანებს. (ტაში).

მიმდინარეობდა რთული და არასტანდარტული მუშაობა. ცოდვა გამხელილი სჯობს, ზოგჯერ ასეც ხდება: დადგენილების მიღებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ შეიკრიბებიან ამხანაგები, განიხილავენ, გამოიანგარიშებენ ამა თუ იმ მაჩვენებლის ზრდის პროცენტებს და დაიშლებიან. არა, თბილისში სხვანაირად მოიქცნენ: რა თქმა უნდა, იკრიბებოდნენ — და არა ერთხელ, ყველა დონეზე და მსჯელობდნენ, მაგრამ არა მარტო პროცენტებზე, არამედ იმაზეც, როგორ, რა ფასად მიაღწიეს მას, როგორ ატმოსფეროში მიმდინარეობდა პრაქტიკული მუშაობა, რა გავლენა მოახდინა მან კოლექტივში საქმის ვითარებაზე, როგორია კომუნისტთა მორალური სულისკვეთება, მათი პასუხისმგებლობა საზოგადოებრიობის წინაშე და მთელი პარტიული ორგანიზაციის წინაშე. ესე იგი გათვალისწინებული იყო ყველაფერი, რაც ეხება ადამიანის ცხოვრების არა მარტო მატერიალურ პირობებს, არამედ მის მორალურ დონესაც, მთელ ზნეობრივ კლიმატს შრომითს კოლექტივში. ეს მთავარია ამხანაგებო, თქვენ ამაში თვითონ დარწმუნდით. (ტაში).

შემოქმედებითი მიდგომა შინაპარტიული მუშაობისადმი, იდეოლოგიური და ორგანიზატორული საქმიანობისადმი — ეს არის ყველა ჩვენს საქმეში უთუო წარმატების საწინდარი. ამას შესახებ არაერთხელ მილაპარაკია საჯაროდ, თანაც დამადასტურებია ეს საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის მაგალითებითაც. ვიმედოვნებთ, რომ საქმისადმი შემოქმედებითს მიდგომას მომავალშიც შეინარჩუნებთ. (ტაში).

თბილისი გულდაჯერებით მიდის აღმავალი გზით.

1977 წლიდან ქალაქის მრეწველობა ფაქტობრივად ჩამორჩენილ საწარმოთა გარეშე მუშაობს. წინა ხუთწლედში საქართველოს დედაქალაქი ყოველწლიურად ჯილდოვდებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. ეს შესანიშნავი მიღწევაა. მინდა გისურვოთ, ამხანაგებო, დაამკვიდროთ ეს ტრადიცია. (ტაში).

ამისათვის ყველა წანამძღვარი გაქვთ. ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციამ დასახა ამოცანა — გეგმა უნდა შესრულოს არა მარტო თითოეულმა საწარმომ მთლიანად, არამედ თითოეულმა მისმა საამქრომ, უბანმა, ბრიგადამ, თითოეულმა მუშაკმა. ამ ამოცანის შესრულებაში თქვენ წინსვლა გაქვთ. ასეთ სწორ გზას, მტკიცედ უნდა იცავდეთ.

მდიდარი და საინტერესოა თბილისის სულიერი ცხოვრება. მხედველობაში მაქვს არა მარტო და არა იმდენად სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების რაოდენობა ან შემოქმედებითი კავშირების წევრთა რიცხვი, მხედველობაში მაქვს საერთო შემოქმედებითი ატმოსფერო, მეცნიერების ორიენტაცია პერსპექტიული პრობლემების, იმ პრობლემების შემუშავებაზე, რომლებსაც წარმოშობს როგორც წარმოების, ისე საზოგადოების განვითარება. მშვიდ ცხოვრებას არ ეძებენ არც კულტურის მოღვაწენი. ისინი ბევრს და ნაყოფიერად მუშაობენ ადამიანებისათვის საინტერესო თანამედროვე თემატიკაზე. სწორედ ამიტომ არის, რომ მათი ნაწარმოებები ესოდენ ფართო ყურადღებას იპყრობენ.

თბილისის წარმატებანი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში სხვადასხვა პროფესიის ბევრი ადამიანის მეცადინეობის გაერთიანების შედეგია. ისინი საქმით ამტკიცებენ თავიანთ სიყვარულს ქალაქისადმი, თავიანთ პატრიოტიზმს, პასუხისმგებლობას პარტიისა და ქვეყნის წინაშე. ასე რომ სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ: ქალაქის ჯილდო ყველა თბილისელის ჯილდოა! (ტაში).

საგულისხმოა თბილისის პარტიული ორგანიზაციის გამოცდილება ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების მართვის სრულყოფის დარგში. დიდ საქმეს აკეთებენ ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქალაქო განყოფილება, აგრეთვე თბილისის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრობლემების საბჭო, რომელიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არის შექმნილი. ცხადია, რომ მათი მუშაობა მით უფრო წარმატებული იქნება, რაც უფრო ფართოდ ჩაებმება მასში საზოგადოებრიობა, რაც უფრო მჭიდროდ იქნება იგი დაკავშირებული პრაქტიკასთან, თვით ცხოვრებასთან.

მაგრამ რაოდენ მნიშვნელოვანიც უნდა იყოს ქალაქის მიღწევები, სიძნელეები და გადაუჭრელი პრობლემები ჯერ კიდევ ბევრია. ვიცი, კერძოდ, რომ გაუმჯობესებას საჭიროებს ელექტრომომარაგების, თბომომარაგებისა და წყალმომარაგების სისტემები. ეს კი წვრილმანი საკითხები როდია. ისინი ადამიანთა ინტერესებს ეხება. და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ, შესაბამისმა საკავშირო სამინისტროებმა და უწყებებმა ეს საკითხები უნდა გადაწყვიტონ რაც შეიძლება მალე და უფრო ხარისხიანად.

საუკუნის დამდეგს თბილისის შესახებ ასე წერდნენ: „კავკასიის დედაქალაქი კონტრასტების ქალაქია. „ახალ" ქალაქში ჩამოსული მზად არის თავი წარმოიდგინოს თითქმის პეტერბურგში ან მოსკოვში, ამასთან ძველ ქართულ ან სპარსულ უბნებში იგი პირისპირ ხვდება ნამდვილ აზიას".

ალბათ გარკვეული თვალშესახები კონტრასტები თბილისში დარჩა. მაგრამ ეს უკვე სოციალური კონტრასტები როდია. ახლა თითოეულს შეუძლია დაინახოს, რომ ლოზუნგს „გადავაქციოთ თბილისი ბაღნარად" საქალაქო პარტიული ორგანიზაცია, ქალაქის საბჭო, ქალაქის ყველა მცხოვრები მტკიცედ ახორციელებს. მტკვრისპირა მშვენიერი სოციალისტური ქალაქი წლითიწლობით ლამაზდება, უფრო მიმზიდველი, უფრო მოხერხებული ხდება ყველა ქალაქელისათვის. (ტაში).

თბილისის წარმატებანი — ეს, უთუოდ, იმ დიდი პოზიტიური ცვლილებების შედეგია, რომლებიც მთელ საქართველოში მოხდა უკანასკნელი ათი წლის მანძილზე. დაძაბული, კეთილსინდისიერი მუშაობის, წარმოების ინტენსიფიკაციის კურსის თანამიმდევრული განხორციელების წყალობით საქართველოს ეკონომიკის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები მნიშვნელოვნად მიუახლოვდა საშუალო საკავშირო დონეს. მთავარია, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში, რომელიც თქვენ ძალიან კარგად დაიწყეთ, გათვალისწინებულია ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელი დარგების უპირატესი განვითარება.

საქართველოს მაგალითით ჩანს, რა დიდ როლს ასრულებს თითოეული საბჭოთა რესპუბლიკის ცხოვრებაში შრომის საერთოსაკავშირო დანაწილება. საქართველოს, როგორც ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ორგანული ნაწილის განვითარებამ შესაძლებელი გახადა შექმნილიყო მისთვის სრულიად ახალი დარგები. საქმე ეხება, უწინარეს ყოვლისა, ელექტროენერგეტიკას, შავ და ფერად მეტალურგიას, ქიმიურ მრეწველობას, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების თანამედროვე დარგებს. მთელ ქვეყანაშია ცნობილი თქვენი ისეთი ინდუსტრიული გიგანტები, როგორიც არის, მაგალითად, „ენგურჰესი", რუსთავის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხნები.

დღეს საქართველო იძლევა მანგანუმის მადნის მთელი მოცულობის დაახლოებით 30 პროცენტს, უშვებს მაგისტრალური ელმავლების 30 პროცენტს, ელექტროსატვირთველების დაახლოებით 15 პროცენტს.

ყოველივე ეს დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ სწორია პარტიის XXVI ყრილობის კურსი—თითოეული რესპუბლიკის მატერიალური და სულიერი პოტენციალის ზრდის და ამასთანავე მთელი ქვეყნის ჰარმონიული განვითარებისათვის ამ პოტენციალის მაქსიმალური გამოყენების კურსი. ეს მკაფიოდ მოწმობს სსრ კავშირის ხალხთა ლენინური მეგობრობის ნაყოფიერებას, რომლის 60 წლისთავს მალე აღვნიშნავთ. უძნელესი გამოცდით გამოწრთობილი ასეთი მეგობრობა მით უფრო ძლიერია, რომ იგი გვაკავშირებს, ამასთან არ გვაუპიროვნებს. იგი თითოეულ ხალხს ანიჭებს დაუშრეტელ შემოქმედებითს ენერგიას, მომავლის მტკიცე რწმენას.

ერთი სიტყვით, ამხანაგებო, ბევრი რამ გაქვთ საამაყო. ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ თქვენი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობამ მაღალი შეფასება დაიმსახურა ამას წინათ მიღებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის მოსამზადებლად საქართველოს სს რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ".

მაგრამ, ვფიქრობ, ზედმეტი არ იქნება შეგახსენოთ, რომ რესპუბლიკაში არის მნიშვნელოვანი რეზერვები და შესაძლებლობანი, რომლებიც მთლიანად არ არის გამოყენებული. ამასთან ხარვეზებიც ჯერ კიდევ საკმაოდ გაქვთ. ამას შარშან მთელი პრინციპულობით მიაპყრო თქვენი ყურადღება ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა იცის, რომ თქვენ შეუპოვრად მუშაობთ ლეონიდ ილიას ძის შენიშვნებისა და მითითებების რეალიზაციისათვის.

საქართველოში ოდითგანვე პატივით სარგებლობს მიწათმოქმედის ძნელი შრომა. სოფლის მშრომელთა ოსტატობა არ დაქვეითებულა დღესაც: საქართველოს წილმა ხილ-კენკრის შიდასახელმწიფოებრივ შესყიდვაში შარშან შეადგინა 8 პროცენტი, ყურძნისა — 13 პროცენტი, ჩაის ფოთლისა — 94 პროცენტი, ხოლო ციტრუსებისა — თითქმის 100 პროცენტი. ასე რომ, სრული საფუძველი გვაქვს დღეს მადლობა მოვახსენოთ თქვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებს მათი თავდადებული შრომისათვის. (ტაში).

ახლა თქვენი ყურადღების ცენტრშია სასურსათო პროგრამიდან გამომდინარე ამოცანები. კარგია, რომ ცდილობთ განსაზღვროთ თითოეული რაიონისა და ქალაქის, საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის, ქარხნისა და ფაბრიკის, დაწესებულებისა და ორგანიზაციის, თითოეული კომლისა და თითოეული მუშაკის კონკრეტული ადგილი მათ შესრულებაში, ამ თვალსაზრისით საგულისხმოა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი ოქტომბრის პლენუმი, რომელზეც გაიმართა სერიოზული, პირუთვნელი სჯა-ბაასი მარცვლეულისა და საკვების წარმოებაში რეზერვებისა და ნაკლოვანებების შესახებ. საკითხის ასეთი თვითკრიტიკული, საქმიანი დაყენება ერთადერთი სწორია.

თქვენ გაქვთ დიდი ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის, კოლექტიური მეურნეობის უდიდეს შესაძლებლობათა შემოქმედებითი გამოყენების გამოცდილება. და არცთუ ცუდი გამოცდილება. ამას მოწმობს, მაგალითად, სოფლის მეურნეობის მართვის სრულყოფისათვის აბაშის რაიონის თაოსნობა, რომელიც ახლა საკავშირო კუთვნილება გახდა.

ამხანაგებო! მთელი ჩვენი პრაქტიკა მოწმობს, რომ წარმატების გადამწყვეტი ფაქტორია მარჯვე პარტიული ხელმძღვანელობა, პარტიული კომიტეტების უნარი სწორად შეარჩიონ და გაანაწილონ კადრები, აღანთონ კომუნისტები, ყველა მშრომელი თავდადებული მუშაობისათვის. სწორედ ეს ახასიათებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზატორულ და პოლიტიკურ საქმიანობას. ყურადღებას იპყრობს მუშაობის ახალი ფორმების მტკიცე ძიება, მომავლის გათვალისწინებით მისი წარმართვის, მშრომელთა ფართო მასებზე დაყრდნობის უნარი, შეურიგებლობა ყველაფრისადმი, რაც ეწინააღმდეგება ჩვენი წყობილების, ჩვენი მორალის ბუნებას. ეს სწორი, ლენინური გზაა. (ტაში).

კარგია, რომ ლენინური ტრადიციისამებრ საჯაროდ იხილავთ შრომითს კოლექტივებში, პარტიულ კრებებზე, პრესაში რესპუბლიკის განვითარების მომწიფებულ პრობლემებს, არ გაშინებთ მწვავე და ძნელი თემები, ხალხის აზრით ამოწმებთ საკუთარ გადაწყვეტილებათა სიზუსტეს. სხვანაირად არც კი შეიძლება ეფექტიანად მართო ისეთ საზოგადოებაში, როგორიც ჩვენია. მასების შემოქმედება უმაგალითო სოციალური ენერგიის უშრეტი წყაროა. და იგი მთლიანად უნდა გამოვიყენოთ.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან ხელმძღვანელები, რომლებიც უხერხულად გრძნობენ თავს ტრიბუნაზე მასების წინაშე, მაგრამ თუ ისინი კომპეტენტური ადამიანები, პრინციპული, პატიოსანი კომუნისტები არიან, მათ არაფრის არ უნდა ეშინოდეთ. კრიტიკა ქვემოდან, თუმცა სასიამოვნო არ არის, მაგრამ ყველასათვის აუცილებელი და სასარგებლოა. არ შეიძლება მასებს ხელმძღვანელობდე და ანგარიშს არ აბარებდე მათ. ეს, როგორც იტყვიან, ერთი მედლის ორი მხარეა.

მოგეხსენებათ, სადღესასწაულო სუფრასაც კი სჭირდება თამადის მტკიცე ხელი და გარკვეული წესრიგი. (ტაში). დისციპლინა და ორგანიზებულობა უნდა განვამტკიცოთ დღენიადაგ და ყველგან. საქმე, რა თქმა უნდა, როდი ეხება ბრმა უგუნურ მორჩილებას. ჩვენი დისციპლინა გულისხმობს შეგნებას, თითოეულის მიერ გადასაწყვეტი საკითხების ხასიათის საფუძვლიან გაგებას, დამოუკიდებლობასა და ინიციატივას კოლექტიურად შემუშავებული და მოწონებული გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში. ამ ბრძოლაშიც საჭიროა რიგების მონოლითურობა, ერთიანი ნება. „...საჭიროა ერთიანი ნება, — თქვა ვ. ი. ლენინმა, — საჭიროა, რომ თითოეულ პრაქტიკულ საკითხში ყველა მოქმედებდეს როგორც ერთი. ერთიანი ნება არ შეიძლება იყოს ფრაზა, სიმბოლო: ჩვენ მოვითხოვთ, რომ იგი პრაქტიკაში იყოს". (ტაში).

ჩვენი პარტიის ერთიანი ნება გამოიხატება სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მისი მეთაურის — დიდი ლენინის საქმის ერთგული განმგრძობის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გარშემო კომუნისტთა შეკავშირებით. (ტაში). ეს შეკავშირება ყველა ჩვენი ამოცანის წარმატებული გადაწყვეტის საწინდარია.

საქართველოს 11 ათასზე მეტი პირველადი პარტორგანიზაცია — ეს, ამხანაგებო, უდიდესი ძალაა. თქვენთან, ისევე როგორც მთელ პარტიაში, ფართოდ გაიშალა საანგარიშო-საარჩევნო კამპანია. საჭიროა, რომ მან ჩაიაროს ბოლშევიკური მომთხოვნელობის ატმოსფეროში. კომუნისტის ყოველი სამართლიანი კრიტიკული შენიშვნა, ყოველი საქმიანი წინადადება რეალურ საქმედ უნდა იქცეოდეს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სერიოზული წარმატება ის არის, რომ შეაკავშირა შემოქმედებითი ინტელიგენცია პარტიულ პოზიციებზე, მარჯვედ იყენებს ხელოვნების უზარმაზარ აღმზრდელობით პოტენციალს. თანამედროვე ქართული ლიტერატურის, კინოს, თეატრის მიღწევები განუყრელად არის დაკავშირებული იმასთან, რომ ქართული კულტურის ოსტატები არ ერიდებიან მწვავე სოციალურ პრობლემებს, რომ ებრძვიან ყოველივე იმას, რაც შეუთავსებელია ადამიანის ღირსებისა და პატიოსნების ჩვენეულ გაგებასთან.

კარგია, რომ თანამედროვე თემაზე მუშაობაში ახერხებთ ჩააბათ ნამდვილად ნიჭიერი ადამიანები, და არა ხელოვნების მიტმასნილი ხელოსნები, რომლებიც თემების აქტუალობით ნიღბავენ მხატვრული თვალსაზრისით უფერულ, უსუსურ ნაწარმოებებს.

ქართველ მწერალთა და მხატვართა, მუსიკოსთა და არქიტექტორთა ბევრ ნაწარმოებს განუმეორებელი ეროვნული თავისებურების დაღი აზის, მათში ცოცხლობს ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურული ტრადიციები, კონცენტრირებულია გამოცდილება. მაგრამ ისინი საკავშირო და მსოფლიო აღიარებას ვერ დაიმსახურებდნენ, რომ ისეთივე ძალითა და სისრულით არ იყოს მათში გამოხატული ინტერნაციონალური და ზოგადკაცობრიული აზრი. (ტაში). ქართული სოციალისტური კულტურის შემოქმედებითი მონაპოვრები ამდიდრებს მთელი საბჭოთა ხალხის, ყველა მოძმე რესპუბლიკის კულტურას.

ამხანაგებო! ისე გამოვიდა, რომ ჩვენი საზეიმო კრება დაემთხვა კომკავშირის დაბადების დღეს.

ამბობენ ხოლმე, ახალგაზრდობა ქვეყნის მომავალიაო, ეს რა თქმა უნდა, სწორია. მაგრამ სწორია ისიც, რომ ახალგაზრდობა უკვე დღეს ბევრად განსაზღვრავს ჩვენი სამშობლოს სახეს. ეს ეხება 1979 წელს ლენინის ორდენით დაჯილდოებულ რესპუბლიკის კომკავშირსაც. კომუნისტების მხარდამხარ და მათი ხელმძღვანელობით იგი უაღრესად აქტიურად მონაწილეობს რესპუბლიკის ყველა საქმეში. და არა მარტო რესპუბლიკისა.

საქართველოს ახალგაზრდა წარგზავნილები დამკვრელურად მუშაობენ უდიდეს საერთო-საკავშირო მშენებლობებზე. ისინი შრომობენ ბამისა და ტიუმენის მრავალეროვან კოლექტივებში, არაშავმიწანიადაგიანი ზონისა და ყაზახეთის მინდვრებში, ახალგაზრდობის წლებში მიღებული ეს შრომითი, პატრიოტული და ინტერნაციონალური წრთობა შეუცვლელი კაპიტალია. (ტაში).

საბჭოთა წყობილების სოციალური მონაპოვრები ცხოვრების ჩვეულებრივ ნორმად იქცა. ასეც უნდა იყოს. ამისთვის იღუპებოდნენ ადამიანები რევოლუციის ბარიკადებზე, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის წლებში. ამისათვის, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის სოციალიზმის მშენებელთა პირველი თაობები არ ეპუებოდნენ ისეთ სიძნელეებს, როგორიც ახლანდელ ახალგაზრდობას ზოგჯერ ვერც კი წარმოუდგენია. და ჩვენ მოვალენი ვართ ვიზრუნოთ იმისათვის, რომ საბჭოთა ხალხის მონაპოვრების ისტორიული აზრი, წინა თაობების მიერ მიღწეულის ნამდვილი ფასი კარგად იცოდეს ჩვენმა ცვლამ.

დღევანდელი დღე რომ სწორად შეაფასოს, ახალგაზრდობამ კარგად უნდა იცოდეს წარსული. და აქ საქმის არსი ის კი არ არის, რომ მხოლოდ დავიზეპიროთ ისტორიული თარიღები და სახელები. ვალი ხსოვნისა — ეს არის ვალი ზნეობისა. ყოველ ახალგაზრდას უნდა დავეხმაროთ, ღრმად შეიგნოს ჩვენი რევოლუციის მიზნები და მიღწევები. განიმსჭვალოს დიდი ლენინის საქმის განგრძობისათვის პირადი პასუხისმგებლობის გრძნობით. ჩვენ ყველას გვინდა, რომ ახალგაზრდობა უბრალოდ კი არ ეუფლებოდეს, არამედ ამდიდრებდეს კიდეც მამა-პაპათა შრომითს და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გამოცდილებას.

სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც შეგნებული აქვს, რაოდენ დიდმნიშვნელოვანია ეს საკითხები, ცდილობს ახალგაზრდობის ენთუზიაზმი და ღრმა ცოდნა შეუხამოს მოწიფული კადრების სიბრძნესა და გამოცდილებას.

ახლა, ამხანაგებო, ნება მიბოძეთ მოკლედ შევეხო საერთაშორისო საქმეებს.

მსოფლიო ასპარეზზე მიმდინარე ამბების საერთო სურათი უაღრესად რთული, დინამიკური და წინააღმდეგობებით აღსავსეა. მაგრამ მთელი ამ სიჭრელის, მოვლენათა სწრაფი ცვლის, მიღმა გარკვევით მოჩანს ორი მთავარი, სიღრმისეული ტენდენცია, რომელთა შეჯახება განსაზღვრავს ახლანდელ პოლიტიკურ კლიმატს.

მსოფლიო პოლიტიკის ერთ პოლუსზე არიან ისინი ვინც იღვწის ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, სადავო პრობლემების კონსტრუქციული მოლაპარაკების გზით გადაწყვეტისათვის; სხვაგვარად რომ ვთქვათ, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის.

მეორე პოლუსზე არიან ისინი, ვისაც სურს ხელი შეუშალოს დაძაბულობის შენელებას, გააძლიეროს გამალებული შეიარაღება, დაუბრუნდეს „ცივი ომის" ხანას. ეს გუშინდელი პოლიტიკოსები არც ისე ბევრი, მაგრამ საშიში არიან. საშიში არიან განსაკუთრებით იმიტომ, რომ მათ ხელშია უდიდესი სამხედრო მანქანა, უწინარეს ყოვლისა შეერთებული შტატების სამხედრო მანქანა.

ძალის გამოყენების იმედი, ტირანული, რეპრესიული რეჟიმებისადმი აშკარა მხარდაჭერა, სამხედრო უპირატესობის მიღწევის კურსი, სხვა სახელმწიფოებისა და ხალხების ინტერესების უგულებელყოფა და მათთვის იმპერიული ნების მოურიდებელი თავს მოხვევა — ასეთია ახლანდელი ოფიციალური ამერიკის პოლიტიკა.

ალბათ, ბევრს ებადება კითხვა — მაინც რა მოხდა? ხომ იყო დრო და არც ისე დიდი ხნის წინათ, როცა ამერიკის პრეზიდენტები არ უფრთხოდნენ „დაძაბულობის შენელების" ცნებას. გავიხსენოთ 70-იანი წლების პირველი ნახევარი. მაშინ რამდენიმე წელიწადში გადაწყდა მთელი რიგი ურთულესი პრობლემები — საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის ფარგლებშიც და ევროპის პოლიტიკის ფარგლებშიც. და ხელად უფრო მეტი სიმშვიდე დამყარდა მსოფლიოში. შვებით ამოისუნთქეს ადამიანებმა. აი სწორედ ეს არის დაძაბულობის შენელება...

მაინც რა მოხდა? მოკლედ თუ ვიტყვი, ასეთ პასუხს გავცემდი ამ კითხვას: ამერიკის მმართველი კლასი ვერ შეეგუა დაძაბულობის შენელებას, მშვიდობიან თანამშრომლობას.

მართლაც, დაძაბულობის შენელება მრავალპლანიანი, მრავალგანზომილებიანი პროცესია. დაძაბულობის შენელება — ეს უეჭველია, მშვიდობისა და თანამშრომლობის გზაა. მაგრამ მარტო ეს როდია. საბჭოთა კავშირი იმით ხელმძღვანელობს, რომ დაძაბულობის შენელება ფართო ასპარეზს უხსნის საერთოდ საერთაშორისო ცხოვრების დემოკრატიზაციას, ზრდის უფართოესი მასების პოლიტიკურ აქტიურობას. დაძაბულობის შენელება განუყოფელია ყოველი ხალხის იმ უფლების აღიარებისაგან, რომ დამოუკიდებლად წყვეტდეს თავის ბედს, ირჩევდეს ცხოვრების წესს, სოციალური განვითარების მიმართულებას. იმის იმედი, რომ შეიძლება სოციალურ-პოლიტიკური სტატუს-კვოს შენარჩუნება, „გაყინვა", რეაქციული უტოპიაა და სხვა არაფერი და ცხოვრებამ დამაჯერებლად დაამტკიცა ეს.

აი არასრული პანორამა სოციალური ცვლილებებისა, რომლებიც გასულ ათწლეულში მოხდა. შეიქმნა ერთიანი სოციალისტური ვიეტნამი. მოისპო დიქტატორული რეჟიმები პორტუგალიაში, ესპანეთში, საბერძნეთში, მარცხი განიცადა პორტუგალიის კოლონიურმა იმპერიამ და შეიქმნა დამოუკიდებელი ანგოლა და მოზამბიკი. რევოლუცია მოხდა ეთიოპიაში, ავღანეთში, ირანში. სანდინისტებმა გაიმარჯვეს ნიკარაგუაში.

და ამერიკის რეაქცია აფორიაქდა. თავისუფლების გზაზე ყოველ წინგადადგმულ ნაბიჯს, ტირანიაზე ყოველ დარტყმას ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები მიიჩნევდნენ ვაშინგტონის პოლიტიკური პოზიციებისათვის, ავტორიტეტისა და გავლენისათვის ჩაცემულ ლახვრად. ცხადია, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც ბევრია გონიერი ადამიანი. ისინი აფრთხილებდნენ, რომ საშიშია ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესებისა და დიქტატორებისა და მარიონეტების ინტერესების გაიგივება. ისინი მოუწოდებდნენ უარი ეთქვათ იმპერიულ ამბიციებზე, თვალი გაესწორებინათ რეალობისათვის, ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა მიესადაგებინათ ახალი, ცვალებადი სამყაროსათვის. მაგრამ ეს გონიერების ხმა ჩაახშო ნაციონალისტურმა, შოვინისტურმა ქორომ. ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა კი არ მიუსადაგონ მისი გარემომცველი სამყაროს რეალობებს, არამედ, პირიქით, ეს სამყარო მიუსადაგონ, დაუქვემდებარონ მონოპოლიების იმპერიალისტურ ინტერესებს — ასე დააყენა საკითხი ახალმა ადმინისტრაციამ.

თითქმის ორი წელია ამერიკის შეერთებული შტატების მმართველები „კუნთებს ათამაშებენ", თითქმის ორი წელია ვაშინგტონიდან გაისმის საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების ლანძღვა. თითქმის ორი წელია მითი „საბჭოთა საფრთხისა" და „მოსკოვის ხელის" შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის თავისებური იდეოლოგიური სამირკველია. მაინც რას მიაღწია ვაშინგტონმა? ბირთვული ბომბები, ალბათ, მეტი დააგროვა. ერთი სამხედრო პროგრამა მეორეს უსწრებს. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო პოზიციები ამით როდი მტკიცდება. პირიქით.

მივმართოთ ფაქტებს.

ამერიკელ პოლიტიკოსთა ცინიკურმა მსჯელობამ „შეზღუდული", „გაჭიანურებული", „რაციონალური" რაკეტულ-ბირთვული ომის თაობაზე განზრახვამ, ასეთი ომი შემოფარგლონ „საომარი მოქმედების ევროპის ასპარეზით" გამოიწვია ნერვიულობისა და შეშფოთების ზრდა დასავლეთ ევროპაში. გაძლიერდა ანტიამერიკული განწყობილებანი. თეთრი სახლის მოურიდებელი ცდები დაარღვიოს „გაზ–მილის" კონტრაქტი, ცეცხლზე ნავთს ასხამს. რა თქმა უნდა, ტრანსატლანტიკური სოლიდარობის კლასობრივი, სოციალური საძირკველი არ იცვლება. მაგრამ ატლანტიკის გამოღმა სულ უფრო ხშირად უფიქრდებიან ამერიკის შეერთებული შტატების წრეგადასული აგრესიულობის შედეგებს.

დაძაბულობის ახალი ხაზები წარმოიქმნა შეერთებული შტატებისა და ლათინური ამერიკის ურთიერთობაში. ვაშინგტონის მიერ სამხრეთ ატლანტიკაში ინგლისის კოლონიური ავანტიურის მხარდაჭერამ ჩიხში მოაქცია ისინიც კი, ვინც აიდიალებდა „დიდი ჩრდილოამერიკელი ძმის" პოლიტიკას. ბობოქრობს ცენტრალური ამერიკა, ძლიერდება პროტესტი იმ მძიმე ეკონომიკური ხარკის წინააღმდეგ, რომელიც იძულებული არიან გადაუხადონ სამხრეთ ამერიკის კონტინენტის ხალხებმა შეერთებული შტატების მონოპოლიებს.

ვაშინგტონის დაძმობილება რასისტულ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან, განზრახვა შეაფერხონ ნამიბიისათვის დამოუკიდებლობის მინიჭება, სულაც არ უწყობს ხელს აფრიკის კონტინენტზე ამერიკის პრესტიჟის ზრდას.

ახლო აღმოსავლეთი? ყველასათვის ცხადია, რომ თუ არა ვაშინგტონის მხარდაჭერა, მფარველობა, ისრაელი ვერ გაბედავდა დადგომოდა პალესტინელი ხალხის მიმართ გენოციდის გზას, სისხლით მორწყა მრავალტანჯული ლიბანი. ახლა ამერიკელები ცბუკავენ, წრიალებენ. იცავენ და ამართლებენ რა თელ-ავივის ანტიარაბულ პოლიტიკას, ილაშქრებენ პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის წინააღმდეგ, მათ ამავე დროს სურთ თავი გაასაღონ არაბთა მეგობრებად.

არაბული სამყარო, სამწუხაროდ, გათიშული, დასუსტებულია სხვადასხვანაირი ინტერესისა და ზრახვების შეჯახებით. სწორედ ამით სარგებლობენ ამერიკის შეერთებული შტატები და ისრაელი ხან ერთად, ხან ცალ-ცალკე. მაგრამ სტრატეგიული თვალსაზრისით ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც მხარს უჭერს უსამართლო საქმეს, ისეთ თამაშს ეწევა, რომელიც მას მოგებას არ მოუტანს.

იმატა ბზარებმა იაპონია-ამერიკის ურთიერთობაში. თუმცა, ისინი არ შემცირებულა არც მთელ რიგ სხვა ქვეყნებთან თვით იაპონიის ურთიერთობაში მილიტარიზაციისაკენ მისი შემობრუნების გამო, საითაც მას ვაშინგტონი უბიძგებს.

ასეთია ფაქტები. ასმილიარდიან საბიუჯეტო დეფიციტს, რეკორდულ უმუშევრობას, გაკოტრებათა ტალღასა და სხვა კრიზისულ მოვლენებს ამერიკის პოლიტიკის შემოქმედთ თავისუფლად შეუძლიათ დაუმატონ უდიდესი საგარეო-პოლიტიკური დეფიციტიც. საქმე იქამდე მივიდა, რომ ამერიკის ერთ-ერთ გაზეთში შეიძლებოდა გვენახა ასეთი მსჯელობა. მოსკოვს რომ მოეხერხებინა, წერდა გაზეთი, და თეთრ სახლში დაემკვიდრებინა თავისი აგენტურა, იგი მეტს ვერ გააკეთებდა ამერიკის ავტორიტეტის შერყევისათვის, ვიდრე ახლანდელი ადმინისტრაცია შვრება. აი თურმე, სად უნდა ვეძიოთ „მოსკოვის ხელი".

ამერიკის შეერთებული შტატების ომის მოტრფიალე, დიდმპყრობელურ, უაღრესად ეგოისტურ საგარეო-პოლიტიკურ კურსს საბჭოთა კავშირი უპირისპირებს რწმენით აღსავსე, მტკიცე, კონიუნქტურული მერყეობისაგან თავისუფალ პოლიტიკას. „საბჭოთა ხელისუფლების პირველი საკანონმდებლო აქტიდან — ზავის შესახებ დეკრეტიდან, — თქვა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, — უაღრესად დიდი მნიშვნელობის ამასწინანდელ გადაწყვეტილებამდე — ვალდებულებამდე პირველმა არ გამოიყენოს ბირთვული იარაღი— ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს მთელი პოლიტიკა გამსჭვალულია მშვიდობის შენარჩუნების გულწრფელი მისწრაფებით. საბჭოთა კავშირი მზად არის ყველაფერი იღონოს და ყველაფერს ღონობს იმისათვის, რომ არ დაუშვას ბირთვული კატასტროფა, ალაგმოს გამალებული შეიარაღება, განამტკიცოს ქვეყნად მშვიდობის საფუძვლები". ამ საქმეში ვმოქმედებთ მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად, ვახორციელებთ შეთანხმებულ კურსს, რომელიც სასიკეთო გავლენას ახდენს მსოფლიოს საქმეთა მიმდინარეობაზე.

ჩვენი ქვეყნის საევროპო პოლიტიკას საფუძვლად უდევს იმის საჭიროება, რომ [illegible] დაძაბულობის შენელების ღირებულებანი, [illegible], რაც [illegible] ჩაწერილია ჰელსინკში. ევროპაში პოლიტიკური ვითარების გაჯანსაღებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სრულიად ევროპის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების მადრიდის შეხვედრის წარმატებით დამთავრებას.

ჩვენ ვიღვწით ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის სამართლიანი და ყოვლისმომცველი მოწესრიგებისათვის, რომელსაც საფუძვლად უდევს რეგიონის ყველა სახელმწიფოს, მათ შორის პალესტინის დამოუკიდებელი სახელმწიფოს გარანტირებული უშიშროება.

„მესამე სამყაროს" ქვეყნების მიმართ ჩვენი პოლიტიკის საფუძველია პროგრესული სოციალური ცვლილებების გარდაუვალობისა და კეთილნაყოფიერი გავლენის აღიარება. ჩვენ აქტიურად ვუჭერთ მხარს ხალხთა ბრძოლას თანასწორუფლებიანი, ურთიერთხელსაყრელი, დისკრიმინაციის უმცირესი ნიშნებისაგან თავისუფალი თანამშრომლობისათვის.

გულწრფელად გვსურს მოვაწესრიგოთ ურთიერთობა დიდ ჩინელ მეზობელთან, და დარწმუნებული ვართ, რომ ეს სარგებლობას მოუტანს ჩინეთსაც, საბჭოთა კავშირსაც, მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმესაც.

საბჭოთა კავშირი წინააღმდეგია საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაში დაძაბულობის შემდგომი ზრდისა. ჩვენ მხარს ვუჭერთ ამ ურთიერთობის ნორმალიზაციას, გაუმჯობესებას და მზად ვართ საქმიანი, საფუძვლიანი მოლაპარაკებებისათვის, რომლის დროსაც უთუოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული ორივე მხარის ინტერესები. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ, თუ ჩვენი პარტნიორები თავს დაანებებენ ილუზიების სამყაროში ცხოვრებას, თავს დაანებებენ უპირატესობის მიღწევით თავის დაიმედებას, თუ ისინი გამოიჩენენ დიდ პასუხისმგებლობასა და პოლიტიკურ ნებას, შესაძლებელი იქნება ყოველგვარ საკითხებზე შეთანხმება.

თუ ვაშინგტონმა თავი ვერ დაალწია პრიმიტიულ ანტიკომუნიზმს, თუ განაგრძობს მუქარისა და დიქტატის პოლიტიკას, რა გაეწყობა, საკმაოდ ძლიერნი ვართ და შეგვიძლია დავიცადოთ. არ გვაშინებს არც სანქციები და არც საომარი პოზები. ჩვენ გვწამს გონიერებისა. და გვწამს ის, რომ ადრე თუ გვიან — და რაც უფრო ადრე იქნება მით უკეთესი, — გონიერება გაიმარჯვებს, ომის საფრთხე აღიკვეთება. (ხანგრძლივი ტაში).

კაცობრიობა მშვიდობის ღირსია, და იგი იცხოვრებს მშვიდობის პირობებში.

ჩემი გამოსვლა დასასრულს უახლოვდება. ნება მიბოძეთ, ძვირფასო მეგობრებო, წავიკითხო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება და ლენინის ორდენი მივაბნიო ქალაქ თბილისის სახელოვან დროშას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

ქალაქ თბილისის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

რევოლუციურ მოძრაობაში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასა და განმტკიცებაში ღვაწლისათვის, 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებაში შეტანილი დიდი წვლილისა და ქალაქის მშრომელთა მიერ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის ქალაქი თბილისი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

(ხანგრძლივი ტაში).

ამხანაგებო, კიდევ ერთხელ სულითა და გულით ვულოცავ თბილისელებს, საქართველოს ყველა მშრომელს მაღალ ჯილდოს. თქვენი დღევანდელი დღესასწაული ყველა საბჭოთა რესპუბლიკის, მთელი საბჭოთა ხალხის დღესასწაულია. (ტაში).

დაე მუდამ დანათოდეს ჩვენს მშვენიერ მიწა-წყალს უღრუბლო, მოწმენდილი ცა. (ტაში).

დაე ყველა თქვენი საქმე წარმატებით დაგვირგვინებულიყოს. (ტაში).

წარმატებებს, ჯანმრთელობას, კარგ გუნება-განწყობილებას გისურვებთ მეგობრებო. (ტაში).

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ საქართველოს! (ტაში).

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ურღვევ კავშირს! (მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).

ამხანაგი კ. უ. ჩერნენკო თბილისში

გვირგვინებით შემკობა

კომუნისტური პარტიის დამაარსებლისა და მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის ვ. ი. ლენინისადმი სიყვარულისა და პატივისცემის აღსანიშნავად ათასობით თბილისელი მოვიდა 29 ოქტომბერს მოედანზე, რომელიც დიდი ბელადის სახელობისაა.

შეკრებილნი გულთბილად მიესალმნენ აქ მოსულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს კ. უ. ჩერნენკოს. მასთან ერთად იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები გ. ა. ანდრონიკაშვილი, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, ო. თ. კულიშევი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, ტ. ვ. როსტიაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ზ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ი. ნ. ორჯონიკიძე, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგე ვ. ა. კონდრატიევი.

მოედანს ეფინება დიდებული მელოდია სიმღერისა „ლენინი მუდამ შენთან არის". ვ. ი. ლენინის ძეგლი ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ გვირგვინით შეამკო. ალისფერ ლენტზე წარწერილია: „დიდ ლენინს სკკპ ცენტრალური კომიტეტისაგან".

ძეგლი გვირგვინებით შეამკეს აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, ამიერკავკასიელი მეომრების, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო აღმასკომის, ქალაქების ბაქოს, ერევნისა და სვერდლოვსკის დელეგაციათა სახელით.

საზეიმოდ ჟღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები. მოედანზე მწყობრი ნაბიჯით ჩაიარეს თბილისის გარნიზონის მეომრებმა.

ამავე დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკო და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები ეწვივნენ გამარჯვების პარკს. უცნობი ჯარისკაცის საფლავი შეამკეს გვირგვინებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, ამიერკავკასიელი მეომრების, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო აღმასკომის, ქალაქების ბაქოს, ერევნისა და სვერდლოვსკის დელეგაციათა სახელით.

წუთიერი დუმილით დამსწრეებმა პატივი სცეს იმათ ხსოვნას, ვინც სიცოცხლე შესწირა სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

დიდების მემორიალის გვირგვინებით შემკობის დროს შესრულდა საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

(დასასრული მე-8 გვ.).

სურათზე: ვ. ი. ლენინის ძეგლის გვირგვინებით შემკობის დროს.

მეგობრულ ვითარებაში

(დასასრული)

მინდა სრულიად გარკვევით განვაცხადო: დარწმუნებული ვართ, რომ სასარგებლო იქნება ხმელთაშუაზღვისპირეთის რაიონში მშვიდობისა და უშიშროების ძირეულ საკითხებზე როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი მოლაპარაკება.

ამ საქმეში კონკრეტული შედეგების მიღწევას რომ შევძლებდეთ, მათ დიდი მნიშვნელობა ექნებოდა მთლიანად ევროპის უშიშროებისთვისაც.

ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა ჰელსინკში დაწყებული დაძაბულობის შენელების საერთოევროპული პროცესი კვლავაც წარმატებით ვითარდებოდეს.

ს. კიპრიანუს სიტყვა

ამხანაგი კ. უ. ჩერნენკო თბილისში

სურათზე: უცნობი ჯარისკაცის საფლავის გვირგვინებით შემკობა გამარჯვების პარკში.

ბავშვობის მზიურ ქალაქში

სურათზე: პიონერთა ქალაქის „მზიურის" საზეიმო გახსნა.

ო. თურქიას, გ. კიკვაძის, ა. რუხაძისა და ს. ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ამხანაგ თ. ნ. მენთეშაშვილის სიტყვა

ლენინის ორდენი თბილისის დროშაზე

(დასასრული)

მე, მუშა ახალგაზრდობის წარმომადგენელს, სიამაყით მევსება გული, როცა ჩვენ, ახალგაზრდებს, მომავლის იმედსა და ბურჯს გვიწოდებენ, ჩვენი ქალიშვილებისა და ჭაბუკების ხელით იქმნება მილიონობით მანეთის სამრეწველო პროდუქცია, მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში, წარმატებით ეუფლებიან ცოდნას და ამრავლებენ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს. ამიტომ დღეს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის შემდგომ სრულყოფას, მისი შრომის, სწავლისა და დასვენების საუკეთესო პირობების შექმნას.

ამ საპატიო ტრიბუნიდან აღვითქვამთ, რომ ახალ წარმატებებს მივაღწევთ სწავლასა და შრომაში. სიტყვას გაძლევთ, რომ კვლავაც ძალ-ღონესა და ენერგიას არ დავიშურებთ, მთელ ჩვენს ცოდნასა და გამოცდილებას მოვახმართ ქვეყნის, რესპუბლიკის, მშობლიური ქალაქის აყვავებას.

სიტყვას ამბობს საბჭოთა კავშირის გმირი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი **ი. ნ. ციციშვილი:**

— ჩვენ, თბილისის მოქალაქენი, — თქვა მან — ბედნიერი ვართ და ვამაყობთ იმით, რომ ჩვენს სახელოვან თბილისს მისი ტრადიციული დღესასწაულის წინ ლენინის ორდენი გადაეცა.

ქვეყნად, რა თქმა უნდა, არის უფრო ძველი და უფრო ცნობილი ქალაქები, მაგრამ თბილისის ხელსაყრელმა მდებარეობამ, მისმა არქიტექტურამ, ისტორიამ და ჩვეულებებმა საქართველოს დედაქალაქს განსაკუთრებული სითბო და მომხიბვლელობა მიანიჭა.

ალბათ, ძნელია დასახელო ქალაქი, რომელსაც თავისი არსებობის 1500 წლის მანძილზე გადაეტანოს ორმოცზე მეტი შემოსევა, 12-ჯერ დანგრეულიყოს და კვლავ ნანგრევებიდან აღორძინებულიყოს მის მცხოვრებთა უმაგალითო ვაჟკაცობის, სიმტკიცისა და შეუპოვრობის მეოხებით.

თბილისს ოდითგანვე მოსდგამს ინტერნაციონალური სულისკვეთება, სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა თანამეგობრობა. თბილისში ცხოვრობდნენ და ქმნიდნენ სომხეთისა და აზერბაიჯანის ცნობილი მოღვაწენი — ხ. აბოვიანი, ო. თუმანიანი, გ. სუნდუკიანი, მირზა ფათალი ახუნდოვი, მირზა შაფი და სხვები.

ხალხების ძმობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშით თბილისმა ბევრი სიძნელე გადალახა. დიდი სამამულო ომის წლებში ქალაქის საწარმოები ფრონტისათვის აწარმოებდნენ თვითმფრინავებსა და ნაღმსატყორცნებს, ჰურვებსა და ტყვიამფრქვევებს, არემონტებდნენ ტანკებს, ჯავშანმატარებლებს. ათასობით თბილისელმა შესწირა სიცოცხლე სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

მრავალი საუკუნის მანძილზე მძიმე განსაცდელში გამოტარა ქართველმა ხალხმა თავისი ძველი და თავისთავადი კულტურა, რომელმაც ახლა ნამდვილ აყვავებას მიაღწია. თბილისი გახდა კულტურის, მეცნიერებისა და განათლების ნამდვილი ცენტრი.

თბილისში მიმდინარეობს უდიდესი მშენებლობა; იქმნება ახალი საცხოვრებელი რაიონები და მიკრორაიონები, ახლდება ძველი უბნები.

თბილისელთა თავდადებულ შრომას მოწმობს ის ფაქტიც, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებებისათვის საქართველოს დედაქალაქი ზედიზედ ექვსჯერ დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. მათი მეცადინეობა დღეს დაგვირგვინდა ლენინის ორდენით, სამშობლოს ყველაზე ძვირფასი და უმაღლესი ჯილდოთი. და ეს ჯილდო ქალაქის უკლებლივ ყველა მცხოვრებს, ყოველ ჩვენგანს ბევრ რამეს ავალებს. ჩვენ ხომ ჯერ კიდევ ბევრი გადაუჭრელი პრობლემა გვაქვს. მაგრამ ვხედავთ ამ პრობლემებს და ძალღონეს არ დავიშურებთ მათ გადასაჭრელად.

დიდება ჩვენს ძველ და მარად ახალგაზრდა ქალაქს. დაე, ყოველთვის ბედნიერების, სიხარულის, სითბოს და სტუმართმოყვარეობის სამყოფელი ყოფილიყოს იგი.

ტრიბუნაზეა ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდლის პირველი მოადგილე, გენერალ-ლეიტენანტი **მ. მ. ხოცკოვი.** იგი ამბობს:

— ოთხგზის ორდენოსანი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად, მუშებთან, შრომითს ინტელიგენციასთან, ახალგაზრდობასთან, ომისა და შრომის სახელგანთქმულ ვეტერანებთან ერთად, ლენინის ორდენოსან ქალაქ თბილისის ყველა მოქალაქესთან ერთად ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის მეომრები დღეს სიხარულსა და სიამაყეს განიცდიან იმის გამო, რომ თბილისელთა დამსახურებამ რევოლუციურ მოძრაობაში, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასა და განმტკიცებაში, მათმა დიდმა წვლილმა დიდ სამამულო ომში ფაშისტ დამპყრობლებზე გამარჯვებაში, მათმა წარმატებებმა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ესოდენ მაღალი შეფასება დაიმსახურა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მკაფიო და მრავლისმთქმელ სიტყვებში ასახულია თბილისელთა ბევრი ნამდვილად დიადი საქმე და გმირული მიღწევა. თბილისის პროლეტარიატის მრავალეროვანი რაზმი რუსეთის მუშათა კლასის კვალდაკვალ ერთ-ერთი პირველი დადგა ბარიკადებზე ბურჟუაზიის ბატონობის წინააღმდეგ საბრძოლველად. თბილისის მოქალაქეთა პატრიოტული და ინტერნაციონალისტური თვისებები დამაჯერებლად გამოვლინდა დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში: ათიათასობით მათგანი ნებაყოფლობით, გულის კარნახით წავიდნენ ფრონტზე საძულველ მტერთან საბრძოლველად, ქალაქში დარჩენილები კი ყველაფერს ფრონტს ახმარდნენ და დიადი საბჭოეთის ყველა ხალხთან ერთად თვალსაჩინო გამარჯვება მოიპოვეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე.

ლენინის ორდენი რესპუბლიკის დედაქალაქის დროშაზე თბილისელებისათვის გამოცხადებული დიდი ნდობაც არის. ეჭვი არ გვებარება, რომ სამშობლოს საპატიო ჯილდო ახალ ძალ-ღონესა და ენერგიას შემატებს მათ სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად მშობლიური თბილისის გადაქცევისათვის მტკიცე ბრძოლაში.

ოლქის მეომრებმა, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, რომლებსაც ღრმად აქვთ შეგნებული თავიანთი პასუხისმგებლობა სამშობლოს უშიშროებისათვის მკვეთრად გამწვავებული საერთაშორისო ვითარებისა და ახალი მსოფლიო ომის საფრთხის რეალური ზრდის პირობებში, მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს საბრძოლო სრულყოფაში. ახალ საფეხურზე ავიდა ნაწილებისა და ქვეგანაყოფების საბრძოლო მზადყოფნა.

ამიერკავკასიელი მეომრები მხურვალედ და გულითადად ულოცავენ თბილისელებს საპატიო ჯილდოს, უსურვებენ ახალ დიდ წარმატებებს სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული კომუნისტური აღმშენებლობის დიადი გეგმების შესრულებაში და ამბობენ: მშვიდად და შთაგონებით იშრომეთ, თქვენი მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომა საიმედოდ არის დაცული!

სიტყვა ეძლევა პარტიის ბაქოს საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს **ვ. ა. ჰუსეინოვს.**

— თბილისის მატიანეში, საბჭოთა საქართველოს ბიოგრაფიაში კიდევ ერთი სახელოვანი, მკაფიო და დაუვიწყარი ფურცელი ჩაიწერა, — თქვა მან. — დღეს მშრომელ ქალაქს, ინტერნაციონალისტ ქალაქს გადაეცა სამშობლოს უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი! ამ მოვლენას თქვენთან ერთად აღნიშნავენ თქვენი მეგობრები — მოძმე რესპუბლიკების დედაქალაქების მშრომელები იმიტომ, რომ ყველა საბჭოთა ხალხის წარმატება ქმნის ჩვენი დიადი ერთიანი ოჯახის — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ეკონომიკურ ძლიერებას, რომელიც აი უკვე სამოცი წელია კაცობრიობისათვის, ადამიანთა შორის, ხალხთა შორის ჭეშმარიტად ძმური ურთიერთობის მაგალითია.

თქვენს სიხარულსა და სიამაყეს იზიარებს აზერბაიჯანის, მისი ორდენოსანი დედაქალაქის — ბაქოს, თბილისის მეგობარი ქალაქის ყველა მშრომელი. ნება მიბოძეთ, მოგილოცოთ მაღალი ჯილდო — ლენინის ორდენი. ლენინის სახელთანაც განუყოფლად არის დაკავშირებული თვით საბჭოთა საქართველოს დაბადება, მისი კომუნისტური აღმშენებლობის გმირული ისტორია. ლენინის ორდენი ღირსეულად აგვირგვინებს თბილისელების აღმშენებლობითი საქმიანობის ყველა ეტაპს, თბილისელებისა, რომლებმაც გვიჩვენეს შრომითი ენთუზიაზმის, მხედრული მამაცობისა და ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმის მაგალითი.

ჩვენ ყველამ დიდი ყურადღებით მოვისმინეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს ღრმად შინაარსიანი სიტყვა, რომელშიც მან მაღალი შეფასება მისცა თბილისის მშრომელთა მიღწევებს, საქართველოს კომპარტიის, თქვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელის საქმიანობას.

ამით ვლინდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ჭეშმარიტად ლენინური ზრუნვა თითოეული მოძმე რესპუბლიკის აყვავებისათვის, ლენინური ეროვნული პოლიტიკის დამაჯერებელი გამარჯვება.

თქვენს სიტყვაში დასახული ამოცანები, პატივცემულო კონსტანტინ უსტინის ძევ, ბაქოს საქალაქო პარტიული ორგანიზაციისთვისაც იქნება მოქმედების პროგრამა.

ჩვენ ვამაყობთ, მეგობრებო, თქვენი მიღწევებით სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა, პარტიის დიად წინასწარდასახულობათა შესრულებაში.

სექტემბრის დაუვიწყარ დღეებში აზერბაიჯანი შეხვდა ყველა ჩვენგანისათვის ძვირფას ადამიანს — ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, რომელმაც რესპუბლიკას გადასცა მესამე ლენინის ორდენი. სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის წელს ჩვენთან ლეონიდ ილიას ძის ყოფნა გახდა ცენტრალური კომიტეტის ლენინური პოლიტბიუროს გარშემო მასების დარაზმულობის დამაჯერებელი დემონსტრაცია, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის დაუვიწყარი დღესასწაული, ხალხებისა, რომელთა ოჯახშიც საბჭოთა აზერბაიჯანმა დიდ წარმატებებს მიაღწია ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში. ლეონიდ ილიას ძის მითითებები და რჩევა-დარიგებანი დაედო საფუძვლად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის პრაქტიკულ საქმიანობას, საიმედო კომპასი გახდა აზერბაიჯანის ყველა მოქალაქის, ბაქოს ყველა კომუნისტისა და მშრომელისათვის.

ღრმად სიმბოლურია, რომ თბილისი, სახელოვანი რევოლუციური, ინტერნაციონალური და კულტურული ტრადიციების ქალაქი, ჯილდოს იღებს სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის წელს. ინტერნაციონალური თბილისის გამარჯვებებში ასახულია მთელი მრავალეროვანი საქართველოს გაბედული წინსვლა, სადაც 70-ზე მეტი ეროვნების მშრომელი მთელი საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის იღვწის. თქვენი მიღწევები შედეგია შემოქმედებითი საქმიანობისა, რასაც ეწევიან რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მეთაურობით, რომლის მოღვაწეობამ დაიმსახურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის კიდევ ერთი მაღალი შეფასება. დამაჯერებელ წარმატებებს მიაღწიეს თბილისის პარტიულმა ორგანიზაციამ, თბილისელმა მშრომელებმა. თითოეული თბილისელი თავისი შრომით ახლოებს მთავარ მიზანს: მშობლიური ქალაქი გადააქციოს კომუნისტური შრომისა და ყოფის სანიმუშო ქალაქად. ასეთივე ამოცანაა დასახული დღეს ბაქოელთა წინაშეც.

მჭიდრო მეგობრული კონტაქტები დამყარდა ორივე დედაქალაქის კომუნისტებსა და მშრომელებს შორის. ეს კონტაქტები იმ მეგობრობის ასახვა და გაგრძელებაა, რომელიც ოდითგან აერთიანებს თბილისსა და ბაქოს. ჩვენს ქალაქებს აერთიანებს ღრმა ისტორიული ფესვებიც, ბოლშევიკური იატაკქვეშეთის უმაგალითო გმირული ბრძოლაც, და ბაქოს კომუნის რევოლუციის ჩაუქრობელი ჩირაღდნებით ნათელი გმირობაც, კომუნისტური მშენებლობის პირველი ძნელი ნაბიჯებიც, გრანდიოზული მიღწევებით აღბეჭდილი ჩვენი დღევანდელი დღეც. ამას წინათ თბილისში გაიმართა აზერბაიჯანის გამოჩენილი შვილის მირზა ფათალი ახუნდოვისადმი მიძღვნილი ზეიმი, რომლისთვისაც საქართველო მეორე სამშობლო იყო. ეს აღგაფრთოვანებს, ძმური მადლიერების გრძნობებს იწვევს. ჩვენ, კომუნისტებმა, რომლებმაც მემკვიდრეობით მივიღეთ ყოველი ხალხის სულიერი ფასეულობანი, უნარიანად უნდა მოვიხმაროთ ეს მემკვიდრეობა, რასაც მშვენივრად აღწევენ თბილისში, სადაც ჭალარა წარსულს ახალი სიცოცხლე შთაბერეს, ხოლო ფრთოსანი მერანივით ფეხმარდი თანამედროვეობა წინ მიისწრაფვის ისე, რომ ხელს არ უშლის წარსულს. გვახსოვს, რომ დედამიწა ჩვენი საერთო სახლია და, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილმა თქვა: „მაგრამ, რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა, უნდა კიდევაც მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა...“

პროლეტარულ ბაქოს ახსოვს და არასოდეს დაივიწყებს საქართველოსა და სოციალისტური სამშობლოს ერთგულ შვილებს — ლეგენდარულ ლადო კეცხოველს, ალიოშა ჯაფარიძეს, გიორგი და ვანო სტურუებს, სერგო ორჯონიკიძესა და ბევრ სხვას, ვისიც სახელებიც უკვდავია მთელი საბჭოთა ხალხის ხსოვნაში. იმათი საუკეთესო ძეგლი, ვინც მომავალს გვიახლოებდა — ეს არის დღევანდელი დღე, ეს არის ხალხთა მეგობრობა, რომელმაც დროს გაუძლო და რომელიც დრომ გამოაწრთო.

გისურვებთ, მეგობრებო, ახალი მწვერვალების დაპყრობას, ახალ წარმატებებს კომუნისტურ მშენებლობაში!

დიდება საბჭოთა საქართველოს! დიდება მის ღირსეულ ორდენოსან და წითელდროშოვან დედაქალაქს — ქალაქ თბილისს!

დიდება ხალხთა ლენინურ მეგობრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

სიტყვას ამბობს პარტიის ერევნის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ლ. ნ. ნერსესიანი:**

დღეს დიდი ზეიმია მოძმე საქართველოს დედაქალაქში. ამიერიდან და სამუდამოდ დიდების შარავანდედით მოსილ თბილისის დროშაზე ამაყად იკიაფებს სამშობლოს საპატიო ჯილდო — ლენინის ორდენი. და არის ღრმა აზრი იმაში, რომ თავისი ისტორიის ამ ნათელ ჟამს თბილისი ეგებება სსრ კავშირის შექმნის სახელოვანი 60 წლისთავს წინ მეგობართა — მოძმე ხალხების წარმომადგენელთა გარემოცვაში, რომლებიც ამ დიდი სიხარულის გასაზიარებლად ჩამოვიდნენ. ჩვენი საერთო ზეიმი, შესანიშნავი ძმური გრძნობები დიდებულად ცხადყოფს საბჭოთა ადამიანების მონოლითურ ერთიანობას, მათს ერთგულებას ხალხთა მეგობრობის დიდი ლენინური ანდერძისადმი.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო მეგობრებო, პარტიის ერევნის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახელით, ყველა ერევნელის სახელით მხურვალედ და გულითადად, ძმურად მოგილოცოთ ქალაქ თბილისისათვის ლენინის ორდენის გადმოცემა და ვუსურვოთ თბილისელებს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს ახალი გამარჯვებანი ჩვენი პარტიის გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

ლენინის ორდენი სამართლიანად აგვირგვინებს საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა მიღწევებს, საქართველოსი, რომელიც, როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხატოვნად თქვა, არის დედამიწის თვალწარმტაცი კუთხე, სადაც ცხოვრობს გულღია ხალხი, ოდითგან რომ აფასებს კაცურკაცურ კეთილშობილებას, შთაგონებულ შრომას, მხედრულ ვაჟკაცობასა და ერთგულ მეგობრობას.

ამ შესანიშნავმა თვისებებმა ქართველ ხალხს მისი მეზობლების, ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე ხალხის სიყვარული და პატივისცემა მოუპოვა. ქართველები და სომხები ოდითგანვე გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ, როგორც კეთილი მეზობლები, ღვიძლი ძმები. მშობლიური სახლი გახდა საქართველოს სტუმართმოყვარე დედაქალაქი სომხებისათვის, რომლებიც იძულებული იყვნენ მიეტოვებინათ თავიანთი სახლ-კარი, თავიანთი სამშობლო. ძველ თბილისში, კოლორიტულ, ხალისიან ქალაქში, რომელიც ხალხთა ძმობის სულისკვეთებით იყო განმსჭვალული, სომეხ მოსახლეობას შესაძლებლობა მიეცა განევითარებინა ხელოსნობა და მრეწველობა, ეშრომა და ეღვაწა. აქ ლენინელი რევოლუციონერების — ქართველი, რუსი, აზერბაიჯანელი და სხვა ხალხების მხარდამხარ იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის სომეხი ხალხის სახელოვანი შვილებიც — სტეფანე შაუმიანი, სურენ სპანდარიანი, კამო და რევოლუციის სხვა რაინდები. თბილისის სტუმართმოყვარე ჭერქვეშ მოღვაწეობდნენ სომხური კულტურის გამოჩენილი ოსტატები გაბრიელ სუნდუკიანი, ოვანეს თუმანიანი, ღაზაროს აღაიანი, ვრთანეს ფაფაზიანი, პეტროს ადამიანი და ბევრი სხვა.

რამდენი საერთო სიხარული, შესანიშნავი შრომითი გამარჯვება გვაქვს ახლა, და ყოველივე ეს განსახიერებულია თბილისისა და ერევნის სილამაზით, ჩვენი ქარხნებითა და ელექტროსადგურებით, მეცნიერთა მიღწევებით, მთელი ჩვენი ახალი ცხოვრებით. ერევნელთა და თბილისელთა, სომეხი და ქართველი ხალხების გული განუყრელად არის ერთმანეთთან დაკავშირებული. სწორედ ამიტომაც ვიზიარებთ თქვენთან ერთად დღევანდელ ზეიმს, თბილისის დროშაზე აციმციმებული ლენინის ორდენი ჩვენს ჯილდოდაც მიგვაჩნია.

ჩვენ, ერევნელებს, სულითა და გულით გვახარებს ეკონომიკის სტაბილური ზრდა, მეცნიერებისა და კულტურის აყვავება, სოციალისტური ცხოვრების წესის შემდგომი დამკვიდრება, ყოველივე ის დადებითი ძვრები, რომლებიც მოხდა და ხდება რესპუბლიკის ცხოვრებაში დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის მეოხებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი რომ ეწევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მეთაურობით. მიღწეულ წარმატებებში, მუშაობაში ნამდვილი ლენინური სტილის დამკვიდრებისათვის ბრძოლის ფართოდ გაშლაში უდიდეს როლს ასრულებს საქართველოს და მისი დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა განხორციელება.

ურთიერთწარმატებებით გამოწვეული სიამაყე ის დამახასიათებელი ნიშანია, რომელიც ჩვენს ქალაქებსა და ხალხებს აერთიანებს. ყოველთვის, როცა ჩამოვდივართ თბილისში, რომელსაც თხუთმეტსაუკუნოვანი სიძველისა და ექვს ათწლეულზე მეტი ხნის სოციალისტური განვითარების ისტორია აქვს, სულითა და გულით გვახარებს მისი ახალი მიკრორაიონები, საწარმოები, კულტურისა და დასვენების ცენტრები. საკუთარი ქალაქისადმი რა დიდი სიყვარული, მისთვის რაოდენი სიამაყე და ნათელი იმედი გამოსჭვივის ქალაქის ძველი უბნების რეკონსტრუქციაში, რომლის გალავანთან ბობოქრობს, ხარობს, როკავს, მრავალფერად ელვარებს შესანიშნავი დღესასწაული — თბილისობა.

დღეს, დიდი დღესასწაულის დღეს, თქვენი მიღწევები, ძვირფასო თბილისელო ძმებო, კიდევ უფრო მკაფიოდ და თვალსაჩინოდ გამოიკვეთება. ქალაქის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციების, თბილისელთა თაობების შესანიშნავი მიღწევების, პარტიის ისტორიულ წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის მათი ბრძოლის შესახებ თავის ღრმაშინაარსიან სიტყვაში მეტად მკაფიოდ და ხატოვნად, დიდი გულითადობითა და გულთბილობით ილაპარაკა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკომ, რომელმაც ქალაქს ლენინის ორდენი გადასცა. ამხანაგ კ. უ. ჩერნენკოს სიტყვაში დასახული ამოცანები ქალაქ ერევნის მშრომელთათვისაც იქნება საბრძოლო პროგრამა.

სულითა და გულით გისურვებთ, ძვირფასო მეგობრებო, ახალ წარმატებებს სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, ვუსურვებთ ბედნიერებასა და კეთილდღეობას თბილისელთა ოჯახებს, საქართველოს ყველა მშრომელს.

პატივი და დიდება ძველ და მარად ახალგაზრდა ქალაქ თბილისს!

გაუმარჯოს კომუნისტთა დიად ლენინურ პარტიას, რომელიც გულდაჯერებით მიგვიძღვის გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ!

ტრიბუნაზეა სვერდლოვსკის საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარე **ბ. მ. შამანოვი:**

— სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის მზადების ამ ღირსშესანიშნავ დღეებში ყოველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენა გაცისკროვნებულია ჩვენი დიადი სამშობლოს ხალხთა ძმური მეგობრობისა და ურღვევი ერთიანობის შუქით. ასეთი მოვლენა გახდა სახელოვანი თბილისისათვის სახელმწიფოს უმაღლესი ჯილდოს — ლენინის ორდენის გადაცემაც.

ნება მიბოძეთ, სვერდლოვსკელი კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით გულითადად მივულოცო თბილისის მუშათა კლასს, სახალხო ინტელიგენციას, ომისა და შრომის ვეტერანებს, ახალგაზრდობას, ყველა მცხოვრებს ლენინის ორდენის გადაცემა და, სულითა და გულით ვუსურვო ახალი შემოქმედებითი წარმატებები პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმების, კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული ამოცანების შესრულებაში.

სვერდლოვსკელებს კარგად ესმით თქვენი გრძნობები, თქვენი სიხარული ამ საზეიმო დღეს. რამდენიმე წლის წინათ ჩვენი ქალაქის დროშაზე ასევე აკიაფდა ლენინის ორდენი. მაღალი ჯილდოს პასუხად სვერდლოვსკელებმა ამრავლეს ძალისხმევა ეკონომიკის, კულტურის, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა უბანზე. ჩვენ უფრო ღრმად და ყურადღებით ვსწავლობთ და ვიყენებთ მოკავშირე რესპუბლიკების დიდი ქალაქების მშრომელთა მუშაობის გამოცდილებას, სწორედ ასე ჩაეყარა საფუძველი ჩვენი ქალაქების — სვერდლოვსკისა და თბილისის შეჯიბრებას.

დღეს სრულიად საფუძვლიანად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოძმე ქალაქების ეს შეჯიბრება შეემატა შრომითი საქმეების ჩვენს საერთო ყულაბას, მან მძლავრი იმპულსი მისცა სვერდლოვსკელი მუშების, ინჟინრების, კონსტრუქტორების, მეცნიერების ახალ ინიციატივებს.

წინათაც გვსმენია თბილისის მშრომელთა დიდ წარმატებებზე. მაგრამ შეჯიბრებამ, მჭიდრო ურთიერთობამ, მუდმივმა კონტაქტმა საშუალება მოგვცა უფრო ახლოს გავცნობოდით თქვენი ქალაქის შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საყურადღებო გამოცდილებას. სვერდლოვსკელები კარგად იცნობენ, და თქვენთან ერთად ამაყობენ, თბილისელი მანქანათმშენებლებისა და რკინიგზელების, მშენებლებისა და მეფეხსაცმელეების ოსტატობითა და უნარით, თქვენი მეცნიერების, ხელოვნების მოღვაწეთა ნიჭით, თბილისელი სპორტსმენების ოსტატობით. ჩვენი ქალაქების შეჯიბრება გადაიქცა რაიონების, საწარმოების, ორგანიზაციების შეჯიბრებად, ხოლო მოწინავე გამოცდილების, ახალი მიღწევების, იდეების გაცვლამ მუდმივი ხასიათი შეიძინა და ეს კიდევ ერთხელ მოწმობს საბჭოთა ხალხების ურღვევ მეგობრობასა და ძმობას.

სვერდლოვსკელები, ისევე როგორც თბილისელები, შთაგონებით შრომობენ 1982 წლისა და მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმის შესრულებისათვის, ემზადებიან ღირსეულად, კომუნისტურად შეეგებონ სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს.

მრეწველობამ შეასრულა ცხრა თვის გეგმა. სვერდლოვსკელმა მშენებლებმა საექსპლოატაციოდ გადასცეს 345 ათასი კვადრატული მეტრი ბინა. ამოქმედდა ახალი სკოლები, საბავშვო დაწესებულებანი, საავადმყოფოები, მაღაზიები, სასადილოები. სასურსათო პროგრამის შესრულებაში თავიანთ წვლილი შეაქვთ სოფლის მეურნეობის მშრომელებს.

შრომითი გამარჯვებების ცხოველმყოფელი წყარო გახდა მოძრაობა „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს — 60 დამკვრელური კვირა“. ამ მოძრაობის დროს სვერდლოვსკის საწარმოებში მიმდინარეობს მასობრივი შეჯიბრება ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის საწარმოთა შეკვეთების ვადამდე შესრულებისათვის. საიუბილეო წელს საბჭოთა საქართველოსა და თბილისის საწარმოებს გამოეგზავნათ: ფოლადის ლენტი, საკისრები, ლიფტები. ქალების საოჯახო შრომის შესამსუბუქებლად სახელგანთქმული „ურალმანანა“ გზავნის სარეცხ მანქანებსა და სხვა პროდუქციას.

„სსრ კავშირის ისტორია, — თქვა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა, — ეს არის სოციალისტური რევოლუციით შობილი სახელმწიფოს არნახული ზრდისა და ყოველმხრივი განვითარების ისტორია, რომელიც დღეს მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო გახდა. ეს არის მისი დროშის ქვეშ შეკავშირებული ყველა რესპუბლიკის, ქვეყანაში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების დაწინაურებისა და ნამდვილი აყვავების ისტორია“. და ამას მკაფიოდ ადასტურებს ჩვენი ორდენოსანი ქალაქების — თბილისისა და სვერდლოვსკის ისტორია და სინამდვილე.

თქვენი დღევანდელი დღესასწაული ჩვენი დღესასწაულიცაა, თქვენი სიხარული ჩვენი სიხარულიცაა. დაე მარად კიაფობდეს ქალაქ თბილისის დროშაზე ორდენი უკვდავი ვლადიმერ ილიას ძე ლენინის გამოსახულებით!

საზეიმო სხდომაზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ე. ა. შევარდნაძე** (ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის სიტყვა გამოქვეყნდება).

მქუხარე ტაშის გრიალში დამსწრეთ ერთსულოვნად მიიღეს წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

საზეიმო სხდომის მონაწილეებს მიესალმნენ ორდენოსანი თბილისის ახალგაზრდობის წარმომადგენლები. შეკრებილებმა გულთბილად მიულოცეს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს კომკავშირის დაბადების დღე.

ჟღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

დარბაზში გაისმის ჩვენი დიადი სამშობლოს — საბჭოთა კავშირის, ხალხთა ლენინური მეგობრობის, ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის — მშობლიური კომუნისტური პარტიის სადიდებელი შეძახილები.

საზეიმო სხდომის მონაწილეებისათვის გაიმართა დიდი სადღესასწაულო კონცერტი. (საქინფორმი).

● პოლონეთი

მთავრობის განცხადება

ვარშავა. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ პროტესტი განაცხადა ამერიკის პრეზიდენტის იმ გადაწყვეტილების გამო, რომელიც ითვალისწინებს პოლონეთთან ვაჭრობაში უმეტესი ხელშეწყობის რეჟიმის შეწყვეტას.

პოლონეთის საინფორმაციო სააგენტოს მიერ გავრცელებულ მთავრობის განცხადებაში ნათქვამია, რომ ეს დისკრიმინაციული გადაწყვეტილება სხვა არაფერია, თუ არა მორიგი ნაბიჯი კონფრონტაციის პოლიტიკაში, რომელსაც ამერიკის პრეზიდენტი რეიგანი ადგას. იგი ცდილობს პოლონეთის ამბები საერთაშორისო დაძაბულობის გაძლიერებისა და აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის თანამშრომლობის შეზღუდვისათვის გამოიყენოს.

პოლონეთის მთავრობა, ნათქვამია განცხადებაში, გულისწყრომით გმობს დიქტატისა და შანტაჟის პოლიტიკას. იგი ყოველთვის აცხადებდა, რომ სახელმწიფოთა ნორმალური ურთიერთობის საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სუვერენიტეტის, მის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების სრული პატივისცემა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული სხვა ნორმების დაცვა.

საერთაშორისო ცხოვრების ზურბაზე
[illegible]

საქდუსისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

ფაქტები მოვლენები

29 ოქტომბერი

● გდრ

სამხედრო კოლეგიის განაჩენი

ბერლინი. ბერლინის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეს დ. ნისტროის სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა დასავლეთ გერმანიის ფედერალური სადაზვერვო სამსახურის დავალებით ჯაშუშობისათვის.

როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, დ. ნისტროი აქტიურ ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ.

● ესპანეთი

არჩევნების შედეგები

მადრიდი. ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტიის დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა საყოველთაო არჩევნები, რომელიც გუშინ ესპანეთში გაიმართა. წინასწარი ოფიციალური მონაცემებით, დეპუტატთა კონგრესში მან 350 ადგილიდან 201 მოიპოვა. კონსტიტუციის თანახმად სოციალისტებმა მიიღეს უფლება შექმნან ესპანეთის ახალი მთავრობა.

სასტიკი დამარცხება განიცადა მმართველმა დემოკრატიული ცენტრის კავშირმა. დემოკრატიული ცენტრის კავშირმა, რომელსაც წინათ ხმების უმრავლესობა ჰქონდა, შეძლო მხოლოდ 11 თავისი წარმომადგენელი გაეყვანა. ძირითადი ოპოზიციური ძალა გახდა მემარჯვენე „სახალხო ალიანსი“, რომელმაც დეპუტატთა 105 მანდატი მიიღო. ესპანეთის კომუნისტურ პარტიას 5 დეპუტატი წარმოადგენს.

არჩევნების შედეგები ცხადყოფს უკიდურესად მემარჯვენე ძალების სრულ დამარცხებას. ფაშისტური ყაიდის ვერც ერთმა ორგანიზაციამ ვერ შეძლო გაეყვანა თავისი წარმომადგენლები კორტესებში.

არჩევნების შედეგების გამო განცხადებაში ესპანეთის სოციალისტური მუშათა პარტიის გენერალურმა მდივანმა ფელიპე გონსალესმა თქვა, რომ სოციალისტთა მთავრობა გადაწყვეტს ქვეყნის წინაშე დასახულ პრობლემებს ესპანელთა ინტერესებისა და მისწრაფებების გათვალისწინებით.

საგარეო პოლიტიკის დარგში იგი დაიცავს ესპანეთის ინტერესებს, იბრძოლებს მშვიდობისათვის, დაძაბულობის შენელებისა და ხალხთა შორის დიალოგისათვის.

საშინაო პოლიტიკის დარგში სოციალისტები ძირითად ყურადღებას დაუთმობენ უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლას და პირობას დებენ, რომ 4 წლის მანძილზე 800 ათას ახალ სამუშაო ადგილს შექმნიან. ისინი აპირებენ აგრეთვე შეამცირონ საპენსიო ასაკი, რომელიც ახლა 65 წელს შეადგენს, შეკვეცონ სამუშაო კვირა, განახორციელონ განათლების, ჯანმრთელობის დაცვის სისტემების რეფორმა და ა. შ.

ესპანეთის კანონმდებლობის თანახმად ახალი მთავრობა თავისი მოვალეობის შესრულებას უნდა შეუდგეს არა უადრეს 35 დღისა არჩევნების მოწყობის შემდეგ.

● ჩრდილოეთ ირლანდია

ვითარება გამწვავდა

ლონდონი. კვლავ მკვეთრად გაიზარდა დაძაბულობა ჩრდილოეთ ირლანდიაში. თითქმის ყოველ დღე ქალაქ ოლსტერის ქუჩებში ისმის სროლა, აფეთქებენ ბომბებს. პროვინციაში ვითარების გამწვავება ოფიციალური ლონდონის ინიციატივით ინსცენირებული ეგრეთწოდებული ოლსტერის ასამბლეის არჩევნების შედეგია. არჩევნები მოეწყო 20 ოქტომბერს.

არჩევნებმა არათუ არ შეუწყო ხელი ოლსტერის ღრმა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტას, არამედ პირიქით, პროვინციაში ძალების მკვეთრი პოლარიზაცია გამოიწვია.

ასამბლეაში არჩეულმა კათოლიკური პარტიების წარმომადგენლებმა უარი განაცხადეს მონაწილეობა მიეღოთ მის მუშაობაში. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ეს ორგანო ჩაიფიქრა ლონდონმა ჩრდილოეთ ირლანდიაში პირდაპირი მმართველობის განგრძობის შირმად.

ამავე დროს არჩევნებმა გააძლიერა თემთაშორისი წინააღმდეგობა ოლსტერში, გააქტიურა ექსტრემისტული დაჯგუფებების საქმიანობა.

როგორც ლონდონის „ტაიმსი“ იუწყება, ახალი ძალადობის შიშით ოლსტერის მცხოვრებნი ვერ გამოსულან ქუჩებში საღამოს საათებში.

● გფრ

წამოაყენეს კანდიდატურა

ბონი. როგორც დპა-ს სააგენტო იუწყება, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობის პრეზიდიუმის აქ გამართულ სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან ამ პარტიის გამგეობის პრეზიდიუმის წევრის, იუსტიციის ყოფილი მინისტრის ჰანს-იოხენ ფოგელის კანდიდატურა დაასახელონ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერის პოსტზე მომავალი წლის 6 მარტს დანიშნულ ბუნდესტაგის არჩევნებში.

ამ წინადადებას შეიტანენ პარტიული გამგეობის განსახილველად, რომელიც შეიკრიბება სოციალ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ხელმძღვანელობასთან და პარტიის საოლქო ორგანიზაციების თავმჯდომარეებთან ერთად.

მოკლედ

ტელეტაიპის ლენტიდან

● ვენა

აქ გაიხსნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბირთვული ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშემწყობი კონფერენციის მოწვევის მოსამზადებელი კომიტეტის მესამე სესია.

სესიაზე განიხილავენ კონფერენციის მომზადებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საპროცედურო საკითხებს. ეს კონფერენცია უნდა გაიმართოს 1983 წლის აგვისტო-სექტემბერში ჟენევაში.

● პარიზი

საფრანგეთის ეკონომიკაში გრძელდება უცხოური კაპიტალის შეჭრის პროცესი. როგორც აქ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები მოწმობენ, ბოლო წლის მანძილზე საფრანგეთის მრეწველობის სხვადასხვა დარგში უცხოურ კაპიტალდაბანდებათა მოცულობა 21 პროცენტით გაიზარდა.

უცხოური კორპორაციები ამჟამად კონტროლს უწევენ ნავთობქიმიური და ელექტრონული მრეწველობის საწარმოთა ნახევარზე მეტს.

● რანგუნი

ოქროს მოპოვება ბირმის ეკონომიკის ახალი პერსპექტიული დარგი ხდება. ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში აღმოჩენილია საბადოები. რომლებიც ძვირფასი ლითონის დიდ კონცენტრაციას შეიცავენ. ახლა ზუსტდება ოქროს მარაგი. ზედა ბირმაში დაიწყო სახინჯი დამუშავება. აქამდე ბირმაში ოქროს სამრეწველო მასშტაბით არ იღებდნენ.

● სალვადორი

პატრიოტთა მძლავრი დარტყმები

მანაგუა. როგორც აჯანყებულთა რადიოსადგური „ვენსერემოსი“ იუწყება, ფარაბუნდო მარტის სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის რაზმებმა კიდევ მთელი რიგი მძლავრი დარტყმები მიაყენეს რეჟიმის ქვეგანაყოფებს. მორასანის დეპარტამენტის ჩრდილოეთში მოულოდნელი იერიშით მათ მოწინააღმდეგე განდევნეს დასახლებულ პუნქტ ხოატეკადან. პატრიოტებმა ხელთ იგდეს დიდძალი იარაღი. სან-მიგელის დეპარტამენტში აჯანყებულები აკონტროლებენ დაბა კაროლინას.

პარტიზანთა მძაფრი შეტაკებები სალვადორის რეგულარულ არმიასთან მრავალგზის მოხდა ქვეყნის აღმოსავლეთის ზონაში. წყნარი ოკეანის სანაპიროს სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე გზაზე პარტიზანებმა შეუტიეს დამსჯელთა სპეციალური ბატალიონის „ატონალის“ ოთხ კოლონას. ორი საათის ბრძოლის დროს დამსჯელებმა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის დიდი ზარალი განიცადეს. ქალაქ სანტიაგო-დემარიაში პატრიოტები თავს დაესხნენ ეროვნული გვარდიის ყაზარმებს.

ჭადრაკი

ლუცერნში, ოლიმპიადებზე

„კომუნისტის“ მკითხველებმა უკვე იციან, რომ 30 ოქტომბერს ლუცერნში (შვეიცარია) ერთდროულად იწყება ვაჟთა და ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადები, ანუ როგორც მას სხვანაირად უწოდებენ, „ერთა ტურნირები“. ეს წლევანდელი საჭადრაკო კალენდრის ცენტრალური ღონისძიება გახლავთ.

ვაჟთა საჭადრაკო ოლიმპიადები იმართება 1927 წლიდან. მეათე ოლიმპიადიდან ბრძოლაში ჩაებნენ საბჭოთა მოჭადრაკეები. მათ ზედიზედ 12-ჯერ გაიმარჯვეს.

რა არის მოსალოდნელი ლუცერნში? საბჭოთა მოჭადრაკეები კვლავ ოქროს მედლების ძირითად პრეტენდენტებად ითვლებიან, უნგრელები კი მათ მთავარ მეტოქეებად. საპრიზო ადგილებისათვის უნდა იბრძოლონ იუგოსლავიისა და აშშ-ის ძლიერმა გუნდებმაც. თითოეულ გუნდში 4 ძირითადი და 2 სათადარიგო მოჭადრაკეა.

ქალთა ოლიმპიადები 1957 წლიდან იმართება. დღემდე 8 ოლიმპიადაზე: 1957 წელს ემენში 1963 წელს სპლიტში, 1966 წელს ბერჰაუზენში, 1969 წელს ლიუბლიანში, 1972 წელს სკოპლეში, 1974 წელს მედელინში, 1976 წელს ბუენოს-აირესში და 1980 წელს ლა-ვალეტაში გაიმარჯვეს საბჭოთა მოჭადრაკეებმა.

უკვე ყველამ იცის, რომ საბჭოთა ნაკრები მთლიანად თბილისელებისაგან შედგება. ვაჟთაგან განსხვავებით, ქალთა გუნდში სამი ძირითადი და ერთი სათადარიგო მონაწილეა.

უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი ქალთა ნაკრების ძირითადი მეტოქე უნგრეთის გუნდი იქნება. აქ, როგორც ყოველთვის, ითამაშებენ დიდოსტატები ჟუჟა ვერეცი-პეტრონიჩი და მარია ივანკა. დიდ ინტერესს იწვევს გოგონათა შორის მსოფლიო ჩემპიონის, ნორჩი ოსტატის ჟუჟა პოლგარის დებიუტიც.

ტელევიზია

30 ოქტომბერი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.55 — ანაბანა. 10.25 — თქვენთვის მშობლებო! 10.55 — კითხვის წრე. 11.40 — სპორტლოტო. 11.50 — მხატვრული ტელეფილმი „ნიკოლო პაგანინი“. მეოთხე სერია. 13.00 — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი და პირველობა მშთ კომპლექსის მრავალჭიდში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე. 13.30 — შეხვედრა მარიო დელ მონაკოსთან. 14.00 — ადამიანი. დედამიწა. სამყარო. 14.45 — ხალხური შემოქმედება. ტელემიმოხილვა. 15.45 — მხატვრული ტელეფილმი „კამილა“. პირველი სერია. 16.50 — ცხოველთა სამყაროში. 17.50 — გესაუბრებათ ი. ა. ლეტუნოვი. 18.20 — მულტფილმები. 18.45 — ჰოკეი. მოსკოვის „დინამო“ — „სპარტაკი“. მე-2 და მე-3 პერიოდი. 20.15 — მე-9 სტუდია. გადაცემაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო ინფორმაციის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ვ. მ. ფალინი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების კონსულტანტთა ჯგუფის ხელმძღვანელი ნ. ვ. შიშლინი. 21.15 — ქორეოგრაფიული ანსამბლის „ბერიოზკას“ კონცერტი. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — სიმღერა-82. 00.05 — დოკუმენტური ტელეფილმი მდინარე დესნის შესახებ.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — რჩევა-დარიგება ფიზკულტურელებს. 9.25 — მხატვრული ტელეფილმი „ზაცეპინების ოჯახი“. პირველი და მეორე სერია. 11.40 — დილის ფოსტა. 12.10 — კინომოგზაურობის კლუბი. 13.10 — კინომაყურებლის [illegible] ი. 13.55 — მუსიკალური კიოსკი. 14.25 — ნ. ნეკრასოვი — „რუსი ქალები“. 15.00 — ფეხბურთი. „ჩერნომორეცი“ — „სპარტაკი“. შესვენებისას (15.45) — საერთაშორისო მიმოხილვა. 16.45 — მოლდავეთის სატელევიზიო სტუდიის პროგრამა. 18.35 — ჯანმრთელობა. 19.20 — კონცერტი. 19.45 — დიდი ოქტომბრის 65 წლისთავისათვის. „ჩვენი ბი- [illegible]

„მრიჭინა“. 12.10 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვენი უბანი“. 12.40 — სპორტის მოყვარულთ [illegible] „წყალში ხტომა“. 13.30 — „სსრკ-60“ — „მოსკოველი კინემატოგრაფისტები საქართველოში“. 14.30 — „ძველი თბი- [illegible]

თბილისი

[illegible]

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 68434 უე 09482 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, [illegible] 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20